

© ვაი, ენავ ჩემო!

რა გვეტაშვანდურება, რამაზოტისტებო?!

29 მილიონი ლარი კონსერტებისთვის(?). „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისთვის“ კი...

„...დაგვშვებთ, მთავრობას ამ უმად არა აქვს ამ ძალიან მნიშვნელოვანი საქმისთვის სათანადო დაფინანსების გამოყოფის საშუალება. მაგრამ ხომ არსებობს უამრავი ფონდი თუ პროგრამა, რომელთაგანაც რამდენიმეს მიანც შეუძლია ხელის შეწყველება? ხომ არსებობენ ამჟამად ყოველგვარი ძალადობისგან თავისუფალი ბიზნესმენები, გნაცმობარობის ზეობისას ცხვრებივით რომ კრეჭდნენ, ჯიჯგინდნენ, დიდძალ ფულს აწერდნენ და ქონებას ართმევდნენ?..“

ეს გახლავთ ამონარიდი „საქართველოს რესპუბლიკის“ წლევანდელი მ მარტის ნომერში გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან — „გაგუფრთხილდეთ განძს, სამარის პირთანაც რომ არ ეთობოდა დიდ პოეტს!“ მასალაში საუბარი იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

იმ პუბლიკაციის რუბრიკა გახლდათ „ო, ენავ ჩემო...“ ამჟამინდელს კი სპეციალურად წარვუშვებდვარე „ვაი, ენავ ჩემო!“

მართლაც, ვაი ჩვენს ენასაც და პატრონსაც, როცა, სხვა უამრავ საფიქრალ-საწახარზე რომ არაფერი ვთქვათ, ამჟამად თავსაყრულად რომ გვაქვს, პრობლემაა თუნდაც ახალი, შევსებული, თანამედროვეების მოთხოვნათა შესატყვისი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს მთელი ლექსიკოგრაფია, მთ შორის, ქართული ენის ნორმატიული ლექსიკონებიც.

ამ ლექსიკონთა ლექსიკონის პირველი ტომი 2007 წელს გამოვიდა, მეორე — 2010 წელს, მესამე კი — მხოლოდ წლეულს. არადა, სათანადო პირობები რომ ჰქონდეთ, ლექსიკონზე მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეცია-

ლისტები დროს იმ მონაკვეთში, რაც პირველი სამი ტომის გამოცემას დასჭირდა, ლამის მთლიანად დაამთავრებდნენ სულ მცირე 180 ათასი სიტყვის დამუშავებას, რასაც შეიძლება მთლიანობაში ენციკლოპედიის 10 ტომიც არ ეყოს.

რა იგულისხმება „სათანადო პირობებში“?

არცთუ ბევრი რამ: ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის, აკადემიკოს ავთანდილ არაბულის თქმით, შტატის გაორმაგება (ამჟამად ენციკლოპედიის გამოცემაზე 15 სპეციალისტი მუშაობს,

ოდა), წელიწადში 840 ათასი ლარი დასჭირდებოდა.

მე პირადად ეს თანხაც მეძვირა და ამიტომაც ვთქვი მ მარტის პუბლიკაციაში, მთავრობას ამ ეტაპზე შეიძლება არც ჰქონდეს ენციკლოპედიის გამოცემისთვის სათანადო დაფინანსების გამოყოფის საშუალება-მეთქი.

მაგრამ თურმე სადა ხარ: თანხის გამოყოფის საშუალება კი არა, უფრო მეტად და ძირითადად საბიუჯეტო სახსრების მიზანშეწონილად ხარჯვა-გამოყენების პრიორიტეტების განსაზღვრა ყოფილა მთავარი.

ში გაიგებენ, ასეთი ცნობილი მომღერლები საქართველოში მართავენ კონცერტებსო, იფიქრებენ, ჯორჯია უსაფრთხო ქვეყანა ყოფილა და, იმდენი ტურისტის მოგვანყდება, სულ ერთიანად ავშენდებითო.

ისე აშენდა იმისი ოჯახი, ვინც მინისტრს ამგვარი აზრი ჩაანვეთა! ხოლო თუ არავის ურჩევია და თავისი ნააზრევი მოგვახსენა, თანაც აპლომბით — ეს პროექტი მთავრობის ინიციატივაა და მისივე მხარდაჭერილიაო, მართლაც კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. მაშინ, მართლაც, ვაი ჩვენს



მილიონებით დაფინანსებული ეროს რამაზოტი...



დაუფინანსებალი ერის საგანძური

არნოდ ჩიქობავას რვატომეულის გამოშვებას კი 150 მაღალკვალიფიციური მუშაკი ემსახურებოდა) და მათთვის ხელფასის ორი ათას ლარამდე გაზრდა.

ყველაფერ ამას, ყოველი ახალი ტომის შანსიანი რაოდენობა დასტამბვის ღირებულებიანად (ბატონი ავთანდილის თქმით, ეს რაოდენობა საქმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ თითო ეგზემპლარი ყველა ბიბლიოთეკას გადასცემოდა უფასოდ, ნაწილი კი გაყიდულიყო. არნოდ ჩიქობავას რვატომეულის ყოველი ტომი 30 ათას ეგზემპლარად გამოდი-

ეს მაშინ დავასკენი, როდესაც კულტურის მინისტრის მიხედვით გიორგაძის გენიალური, ლამის საქართველოს ეკონომიკის გადამრჩენი ნააზრევი წავიკითხე: ეროს რამაზოტი, რობი უილიამსი, ხოსე კარერასი და maroon-5 მოუნვევით საქართველოში კონცერტების გასამართავად. 24 აპრილს, 27 მაისს, 7 და 18 ივნისს, საერთოდ კი წლის ბოლომდე გაიმართება ტაშვანდურა ლონისძიებები ქვეყნის 19 ქალაქში.

მინისტრის თქმით, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა-

პატრონს, რადგან ერთი ძველი ანდაზის არ იყოს, შინ რომ ბავშვი გიტყვიო, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვს?! — ამდენი პრობლემის მქონე ტაშვანდურა ლონისძიებებში უნდა ვხარჯავდეთ მილიონებს?!

თანაც საქმეში ჩახედული ცალკეული პროდიუსერები ამტკიცებენ, არ შეიძლება, არტისტში 6-7 მილიონი გადაიხადო მაშინ, როდესაც მისი ჩამოყვანა 3 მილიონად შეიძლებაო!

თუმცა, ეს სამი მილიონიც განა მცირე თანხაა? კულტუროლოგისა და ექსპერტის დავით ანდ-

რიადის მტკიცებით, 2-3 მილიონი ლარი სრულიად საკმარისი იქნებოდა ქართული ხელოვნების მთლიანად ახალ რელსებზე გადასასვლელად.

ეს არ უნდა იცოდეს კულტურის მინისტრმა?

თუ იცის, რატომ დანიშნულ ბისამებრ არ იყენებს და უაზროდ რად ფანტავს ფულს?

განა კონცერტების და, მით უფრო, ისეთი აღიარებული ხელოვნების წინააღმდეგები ვარ, როგორებიც ვემოთ ჩამოთვლილი მომღერლები არიან, მაგრამ ამდენი პრობლემის, ამდენი გაუბედურებული ადამიანის პატრონებს ამგვარი ფუფუნების უფლება გვაქვს, რამაზოტისტებო?!

და ბოლოს, ის, რითაც დავინწყე:

როდესაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი ტომი დასტამბულა, მის მთავარ რედაქტორს ავთანდილ არაბულის ერთი ეგზემპლარი მისი უწმინდესობისა და უნეტარესობისთვის გადასაცემად საპატრიარქოში მიუტანია და, რაკი კათოლიკოს-პატრიარქი იმ დროს გასული ბრძანებულა, სამდივნოში დაუტოვებია.

ილია მეორეს ნიგნი რომ უნახავს, უბრძანებია, ეს ძალიან დიდი საქმეა და აუცილებლად მხარი უნდა დაეჭირათო.

საზოგადოებისთვის იმ ნიგნის წარდგენა მაშინ სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა. მისი უწმინდესობა და უნეტარესობა საკუთარი ინიციატივით მობრძანდა წარდგენაზე, დალოცა ნიგნის ავტორთა კოლექტივი და ბატონ ავთანდილ არაბულს თავისი ხელით ჩამოჰკიდა კისერზე დიდი ოქროს ჯვარი.

ეს ამბავი იმისთვის გავისხენ, რომ ბევრს, ვისაც უშუალოდ ევლენება, ან შეუძლია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემისთვის ხელშეწყობა, შევასხენო თავისი სამსახურებრივი თუ მოქალაქეობრივი მოვალეობა და ვთხოვო ამ მართლაც უწმინდესოვანის საქმის მხარდაჭერა.

თორემ, რა გამოდის — 29 მილიონი ლარი გავეფანტოთ კონცერტში, მაშინ როცა მისი მესამედიც კი საკმარისზე მეტი იქნებოდა ასეთი უწმინდესოვანის ენციკლოპედიის ყველა დარჩენილი ტომის მომზადება-დაბეჭდვისთვის?! იქნებ დაფიქრდეთ ამაზე, რამაზოტისტებო!

რუსლან რუსინა

დავით უსუფაშვილი: რას აგზობს ქართველი ხალხი, საპარლამენტო არჩევნების დროს გააოჩნდება



საპარლამენტოს პარლამენტის თავმჯდომარის უსუფაშვილის განცხადებით, რას აგზობს ქართველი ხალხი, ეს გამოჩნდება საპარლამენტო არჩევნების დროს. საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობის მაჩვენებელი საქართველოში არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი მსოფლიო საპარლამენტო არჩევნების შორის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოქტომბერში იქნება ასეთივე მაღალი მაჩვენებელი. დარწმუნებული ვარ და ვიცი კონკრეტული მაგალითებით, რომ მოსახლეობის ინტერესი პარლამენტისა და საპარლამენტო არჩევნებისადმი იყო მაღალი, არის მაღალი და იქნება მაღალი. რაც შეეხება იმას, ვინ არის კმაყოფილი თავისი არჩევანით და ვინ უკმაყოფილო, მაჟორიტარით თუ მის მიერ არჩეული პოლიტიკური პარტიით, მოდის ახალი არჩევნები და თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, გააკეთოს უფრო დაფიქრებული და სასურველი არჩევანი.

უმრავლესობით ისევ „ქართული ოცნება“ მოვა

„ქართული ოცნების“ წევრი ომარ ნიშნიანიძე NDI-ის კვლევებს უნდობლობას უცხადებს. „ნდობა, რომ ნაკლებია NDI-ის კვლევებთან დაკავშირებით, ეს არა ერთხელ დადასტურდა. საგანგაშო არაფერი არ არის. ერთადერთი პარტია, რომელსაც შეუძლია, უმრავლესობით მოვიდეს კვლავ ხელისუფლებაში, არის „ქართული ოცნება“. თუმცა, ამ შესაძლებლობას რამდენად გამოიყენებთ ჩვენ დარჩენილ დროში, როგორ ავუსხნით მოსახლეობას ჩვენს გაკეთებულ საქმეებს, ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული,“ — აცხადებს ომარ ნიშნიანიძე.



„პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის (ა. წ. ჯაუშაუბის) საქმეზე“ ნაციონალთა მიერ მსჯავრდებული სამივე პირი გაპარტლდა

„მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეისა პალატამ, პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის საქმეზე ჯაუშაუბის ბრალდებით მსჯავრდებულების — დავით ლონდარიძის, გიორგი გორელაშვილის და სერგეი ჩაპლიგინის მიმართ 2011 წლის 25 ოქტომბერს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა და სამივე პირი გაამართლა.

პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის და ე.წ. „ჯაუშაუბის“ საქმეზე ახალი გარემოება მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დადგენილად და დადასტურებულად მიიჩნია, რომ ბაჩანა ახალაიას თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში — იმდროინდელი სამხედრო პოლიციისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირების — მეგის ქარდავას, ალექსანდრე მჭედის, ოლეგ ფაცაცაძის და ვიქტორ ყაჭუიშვილის ონაწილობით და ორგანიზებით, „ჯაუშაუბის“ ბრალდებით დაკავებული პოლკოვნიკ სერგო თეთრაძე, დავით ლონდარიძე, გიორგი გორელაშვილი და სერგეი ჩაპლიგინი, არარსებული დანაშაულის აღიარების მიღების მიზნით აწამეს, ხოლო სერგო თეთრაძის მი-

მართ დამატებით განხორციელდა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ზემოხსენებული გადაწყვეტილებისა და შეკრებილი სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულების — გიორგი გორელაშვილის, დავით ლონდარიძისა და სერგეი ჩაპლიგინის მიმართ „ჯაუშაუბის“ ბრალდებით გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სრულად გაიზიარა პროკურატურის არგუმენტები და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის, თაობაზე შუამდგომლობა დააკმაყოფილა, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო მის ნაცვლად მსჯავრდებულების — დავით ლონდარიძის, გიორგი გორელაშვილისა და სერგეი ჩაპლიგინის მიმართ დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენი.

თბილისელთა, არ აკვირთ დედაქალაქის მთავრობის წინააღმდეგ დაგეგმილ მიზანმიმართულ პროპაგანდას!

„შახლქის მომავალში დაგეგმილია გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები აბაშიძის, ბარნოვის, ნუტუბიძის, უღენტისა და ჩარგლის ქუჩებზე. ეს გახლავთ ქალაქის საკმაოდ სტრატეგიული, გადატვირთული და რთული მონაკვეთები და მინდა, დავავალო შე-



საბამის სამსახურებს, პირველ რიგში, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს, ასევე, გამგებებს, ტრანსპორტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებს, მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად განასორციელონ შესაბამისი ღონისძიებები სამუშაოების მოსამზადებლად, სწორად გათვალისწინებულ და დაგეგმილ სამუშაოების შესრულების პერიოდები და დრო. ასევე, მოსახლეობას დროულად მიაწოდონ ინფორმაცია დაგეგმილი თუ მიმდინარე საგ-

ზაო სამუშაოების შესახებ, რათა მაქსიმალურად იქნეს შემცირებული ქალაქში გადაადგილებისას შექმნილი სირთულეები და სამუშაოები შესრულდეს დაგეგმილ ვადებში, შესაძლებლობის ფარგლებში კი, კიდევ უფრო ადრევე, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე.


ამჟამად, დედაქალაქის მასშტაბით, გზების კაპიტალური და აღდგენითი შეკეთება მიმდინარეობს 11 მისამართზე. კეთდება გლდანის რაიონში ყაზბეგის ქუჩა, ჩულურეთში ჯაგანიშვილისა და ჩიტაიას ქუჩები, ასევე, ამავე რაიონში კაპიტალურად კეთდება ჩეჩელაშვილის ქუჩა, მიმდინარეობს სამუშაოები კრწანისის რაიონში და დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში. კიდევ ერთი თემა, რაზეც მთავრობის სხდომაზე დავით ნარმანიამ ისაუბრა, ბოლო პერიოდში, ოპონენტების მხრიდან დედაქალაქის მთავრობის წინააღმდეგ დაგეგმილი მიზანმიმართული კამპანიები იყო. „თითქმის ყველა პარტიულმა მოსახლემ მხარეობს მინიმალურად დაგეგმილ მიზანმიმართულ პროპაგანდას და ნუ ჩაერთვებით პოლიტიკურად მართულ პროცესებში, რადგანაც ეს ყველაფერი არ კეთდება მათი კეთილდღეობისთვის, არც მათთვის საცხოვრებელი თუ საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ, აღნიშნული კამპანიები სორციელდება კონკრეტული პირების პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რასაც ხელი არ უნდა შევუწყოთ,“ — განაცხადა მან.

კვლევი თბილისის ახალი სისოხლა

თბილისში, შალვა დადიანისა და ლადო ასათიანის ქუჩების კვეთაზე №34/17-ში მდებარე ისტორიულ საცხოვრებელ სახლს სრული რეაბილიტაცია და რესტავრაცია ჩაუტარდება. ასევე, გამაგრდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება მომიჯნავე, შალვა დადიანის ქ. №32-ში მდებარე შენობას, — იტყობინება დედაქალაქის მერია.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე, შალვა დადიანის ქ. №34/17-ში მდებარე შენობის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტი „ცოხის საქართველოს“ მიერ შეიქმნა. XIX საუკუნის შუა ხანებში აგებული სახლი, ქვემო კალას განაშენიანების უნიკალური ნიმუშია და ძველი ქალაქის გალავნის გოდოლ-ბურჯზე აშენებული. ისტორიის თანახმად, სახლი თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ნაგებობად ითვლება და ძველი არქიტექტურის დირსეულ ნიმუშს წარმოადგენს. შენობის განსაკუთრებული ნიშნები თბილისური სახლისთვის დამახასიათებელი აუთენტური დეტალებით შეიქმნილი სის მომრგვალებული აივანია. რეაბილიტაციის შედეგად, ისტორიული შენობა ძველი პროექტის მიხედვით აღდგება.

თბილისის განვითარების ფონდმა ორივე შენობის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო და გამაგრებითი სამუშაოების შესრულებაზე ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა.



რეიტინგი

სიმაღლირით მუსაბეგანი, ოლონდ ბეორა ასუღუი

ამერიკაში გამოცემა „რაიფესტ ქანთონ ვორლდის“ მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიო 185 ქვეყნის სიმაღლირის სარეიტინგო სიაში საქართველო 113-ე ადგილზეა.

გამოკვლევას მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შარშანდელი მონაცემები დაედო საფუძვლად. გამოცემაში მდიდარი ქვეყნების რანგის ტაბელი ერთ სულ მოსახლეზე მყიდველობითი უნარის პარიტეტის საფუძველზე შეადგინა, რომელიც ცხოვრობის შედეგობითი ღირებულებისა და ქვეყანაში ინფლაციის დონის თანაფარდობას ითვალისწინებს. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ საქართველოში 2015 წელს 8,2 ათასი დოლარი შეადგინა. მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა კი ჩინეთია, შემდეგ მოდიან ლუქსემბურგი, სინგაპური, ბრუნეი და ქუვეიტი. სიის უღარიბესი ქვეყანა ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკა (185-ე ადგილი), მასავით გაჭირვებული არიან კონგო, მალავი, ლიბერია და ბურუნდი. რაც შეეხება ჩვენს უახლოეს სამეზობლოს, მათ შორის ფინანსურად ყველაზე მძლავრია რუსეთი (51-ე ადგილი). 62-ე ადგილზეა თურქეთი, 64-ზე — აზერბაიჯანი, 114-ზე — სომხეთი.

გზა შერიგებისკენ!



აფხაზი სტუდენტი: ჩვენს შორის კედლები უნდა დაინდოს, ბარიერები უნდა ნაიშალოს!

ერთოდ დღის წინათ სოხუმში „აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ სტუდენტმა მოისმინეს ცნობილი ისტორიკოსის გიორგი ანჩაბაძის ლექციის აუდიოჩანაწერი იმის შესახებ, როგორ დაიწყო და განვითარდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი.

გიორგი ანჩაბაძის აუდიოჩანაწერი თბილისში, პროექტ „ბიოგრაფიული სალონი“ ფარგლებში მომზადდა, რომელსაც აფხაზეთში ზურაბ აჩაბას სახელობის საგანმანათლებლო ცენტრი „სამყარო ძალადობის გარეშე“ ახორციელებს. პროექტის კოორდინატორი ცენტრის დირექტორი „აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ დოცენტი დალილა ფილიაა. პროექტის რეალიზებისთვის გრანტი ბერკოვის ცენტრმა (გერმანია) გასცა.

„ბიოგრაფიული სალონი“ ფარგლებში პარასკევით უორქშოპები ტარდება. სალონის სტუმრები, რომელთა უმრავლესობა ხშირად სტუდენტებია, ისმენენ და განიხილვენ ქართულ-აფხაზური ომის ტრეკული მოვლენების თვითმხილველთა მიერ ნაამბობ ისტორიებს. იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ უორქშოპის დროს, „აჰო კავკაზა“-ს მისმა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა — ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სპეციალისტმა საიდა ვოზამ უამბო:

„დღეს გიორგი ანჩაბაძე გვყავდა. მოვისმინეთ ისტორია იმის შესახებ, რა მოხდა მრავალი წლის წინათ. იგი გვიამბობს 1989, 1992, 1993 წლების მოვლენებს და შემდეგ ახალაზებს, რა ხდებოდა აფხაზ და ქართველ ინტელიგენციის შორის ურთიერთობებში. ჩვენ გვსურს, რომ სტუდენტებმა მოისმინონ ეს ამბები უშუალო მონაწილეებისგან და თვითმხილველებისგან, რათა იცოდნენ რეალური ისტორია. ჩვენ ყველა ვკითხულობთ წიგნებს, აფხაზეთის ისტორიას, მაგრამ ცოცხლები არიან იმ მოვლენების თვითმხილველები და თანამედროვეები და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მათგან მოისმინონ ის, რასაც წიგნებში ყოველთვის ვერ წაიკითხავთ. ამ ინტერვიუების წყალობით ჩვენ ძალიან ბევრ ახალს ვცნობთ.“

აფხაზური წარმოშობის ცნობილი საბჭოთა და ქართველი ისტორიკოსი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ანჩაბაძე ისხენებს, როგორ ერთბაშად გამაგრდა 1989 წელს, ლიხნის მრავალათასიანი შეკრების შემდეგ დაპირისპირება აფხაზეთის აფხაზურ და ქართულ მოსახლეობას შორის.

გიორგი ანჩაბაძე ცნობილი აფხაზი მეცნიერის, „აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პირველი რექტორის — ზურაბ ანჩაბაძის ვაჟია, დედა მას ქართველი ჰყავდა. კარგად ერკვეოდა და ესმოდა რა ორივე მხარის პოზიცია, იგი თვლიდა, რომ შეიძლებოდა ტრაგიკული დაპირისპირების თავიდან აცილება, თუ მოიძებნებოდა თანაცხოვრების მოდელი, რომელშიც აფხაზური ეთნოსი დაცულად იგრძობდა თავს, თუმცა იმ პერიოდში საქართველოში ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის შემაღლებლობაში ავტონომიები უნდა გაუქმებულიყო და ასეთი პოზიცია ხისტ ეთნიკურ დაპირისპირებას შეეჯახა.

გიორგი ანჩაბაძე ამბობს: „საქართველოში აფხაზებისადმი სიძულელი არ ყოფილა, პირიქით, პოპულარული იყო აფხაზი რაინდის სატი, თუმცა ქართული

ინტელიგენცია არა მას დაეყრდნო, არამედ ინტოროვეს თეორიას, რომლის თანახმად, აფხაზები, რომლებიც საქართველოში XVII საუკუნემდე ცხოვრობდნენ, ქართველები იყვნენ, ხოლო XVII საუკუნიდან მთებიდან ჩამოვიდნენ სხვა აფხაზები, რომლებმაც საქართველოს ეს ტერიტორია დაიკავეს. დაეყრდნენ რა ამ თეორიას, ქართველმა ისტორიკოსებმა „ბოთლიდან ჯინი გამოუშვეს“.

იგი ყვება, რომ საქართველოში შეიქმნა „აფხაზური კომისია“, რომლის წევრი თავადაც გახლდათ. ამ კომისიამ შეიმუშავა დოკუმენტი, რომლითაც მისი წარმომადგენლები სოხუმში მიავიდნენ ომის წინა პერიოდში. დელეგაციის შემადგენლობაში გიორგი ანჩაბაძეც იყო.

ისტორიკოსი ისხენებს, რომ სოხუმში ჩასული, შევიდა შენობაში, სადაც იმ დროს აფხაზეთის სახალხო ფორუმი „აიდგილარა“ იყო განთავსებული, რათა მის ლიდერს გასაუბრებოდა. შენობის ორივე სართული სავესე იყო ახალგაზრდა აფხაზებით. ანჩაბაძე გააოცდა სინყნარემ. მან წარმოიგინა, რა ხმაური იქნებოდა შენობაში, მასში რომ ამდენივე ქართველი ახალგაზრდა შეკრებილიყო. მან ეს იმით ახსნა, რომ ახალგაზრდა აფხაზები იმ დროს კარგად აცნობიერებდნენ, რომ წინ ელოდათ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა და სწორედ მათ დაწვავთ კისერზე პასუხისმგებლობა ამ ბრძოლის შედეგებზე. ეს ძალზე ტრაგიკული მომენტი იყო. „მე ვსაუბრობდი და ისმოდა მხოლოდ ჩემი ხმა“, — ისხენებს ანჩაბაძე.

ისტორიკოსის გამოსვლის აუდიოჩანაწერის მოსმენის შემდეგ უორქშოპის მონაწილეებმა მოსმენილი განიხილეს. ისინი საუბრობდნენ იმაზე, რომ სადღესოდ საქართველოში ჩნდებიან ახალგაზრდები, რომელთაც ესმით, რომ 1992-1993 წლების ომი შეცდომა იყო.

თამილა გვაჯავამ — აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მე-5 კურსის სტუდენტმა „აჰო კავკაზა“-ს მოსმენილისგან მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა:

„გია ანჩაბაძის მონაყოლიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ამჟამად ადამიანებს შორის კედლებია, რომლებიც უნდა დაინდოს. ამისთვის ერთმანეთის ინფორმირება უნდა მოვახდინოთ, რადგან ჩვენ ვკითხულობთ გარკვეულ წიგნებს, ჩვენ, ისევე როგორც ჩვენს მეზობლებს, საკუთარ ისტორიას გვასწავლიან, ჩვენ ჩვენი სედევა გვაქვს, მათ — თავიანთი. ჩვენთვის რთულია იმის გაგება, რა ხდება მათთან, მათთვის კი — იმის, თუ რა ხდება ჩვენთან და ეს ბარიერები უნდა წაიშალოს. უფრო მეტად ინფორმირებული უნდა ვიყოთ, მეტად დავინტერესდეთ, რა ხდება შენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რათა გავუფოთ სხვა ერს. იგივე უნდა გურჩიოთ ჩვენს მეზობლებს, დაინტერესდნენ, რას ფიქრობენ რეალურად რეგითი ადამიანები და არა ისტორიკოსები და ურნალიტიკები, რომელთაც შეუძლიათ, ინფორმაცია იმ მიზნით გამოიყენონ, რომ ადამიანებს შორის კონფლიქტი არასოდეს დასრულდეს“.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გია ანჩაბაძის მოვლენების მოსმენა ძალზე სასარგებლო იყო და დაეხმარა მათ მრავალი წლის წინანდელი მოვლენების გაგებაში, რომლებსაც ისინი არ შესწრებია.

„პანამურ დოკუმენტაციის“ დავით კეზერაშვილის სახელი ფიგურირებს. ინფორმაციას შვეიცარიული გამოცემა „TRIBUNE DE GENEVE“ აბრცხავს. თუმცა, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ადვოკატი შოთა მინდელი ძარბაშვილს საბანკო მონაწილეობის არასწორ თარგმანში აბანაშულებს.

„ეს მონაცემები უზუსტობებს შეიცავს. გარდა პირველად წყაროში არსებული უზუსტობებისა, დამახინჯებულია ქართული მედიის მიერ გავრცელებული ტექსტიც და თარგმანიც. და ამას აკეთებენ ის საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც დაახლოებული არიან ხელისუფლებასთან.“

უზუსტობა მდგომარეობს იმაში, რომ თითქოსდა 10 დღის დაფუძნებულ კომპანიაში მონაწილეობის განთავსება, რითაც ცდილობენ იმის მითითებას, რომ თითქოს, დავით კეზერაშვილმა გადადგომისთანავე განათავსა 25 მილიონი ამ ანგარიშზე. ეს

მადგენელთა შეკითხვებს უპასუხა, რადროსაც განაცხადა, რომ ის ფინანსური შუამავლის როლს არ ასრულებდა და მის კომპანიას კლიენტების ანგარიშებისადმი წვდომა არ ჰქონდა. 2016 წლის 7 აპრილს შვეიცარიის პროკურატურამ რამდენიმე ბანკის საქმიანობის შესწავლა დაიწყო, მათ შორის ერთ-ერთი BCGE-ია, რომელშიც კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანიას ანგარიში ჰქონდა გახსნილი.

გამომძიებელი ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ გამოქვეყნებული მასალების თანახმად, პანამურ იურიდიული კომპანია „Mossack Fonseca“ ზოგიერთ შემთხვევაში კლიენტებს ფულის გათვრებასა და გადასახადების განთავსებას ახდენდა და სანქციების გვერდის ავლაში ეხმარებოდა. გამოძიება „Mossack Fonseca“-ს 11,5 მილიონი დოკუმენტის შესწავლას ეფუძნება.

ეს გახლავთ შვეიცარიული გამოცემა „Tribune de Geneve“-ის მიერ მომზადებული

მილიარდერს ეძახდნენ. მისივე თქმით, თავდაცვის მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ კი, მისი ქონება და ბიზნესში საქმიანობები ისეთი სისწრაფით გაიზარდა, ბილ გეთოსს შეუძლებოდა. საბურთაშენი აცხადებს, რომ კეზერაშვილის უკან რეალურად მიხეილ სააკაშვილი დგას.

„რაც შეეხება პანამის დოკუმენტებს, სამწუხაროა, რომ ამ დოკუმენტების გამოქვეყნებები პუტინის და დევიდ ქემერონის აფილირებულობის გამოქვეყნებას არ მორიდნენ, მაგრამ კეზერაშვილთან ვერ დაინახეთ მისი ბიზნის მიხეილ სააკაშვილი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ხალხისთვის წართმეული და მოპარული ფული.“

რაც შეეხება საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მიერ კეზერაშვილის ექსტრადირებაზე უარის თქმას, ნუ ვიქნებით მიაბიტი და ნუ გამოვიტყვებთ კეზერაშვილის მიერ დიდი ფულის დახარჯვას თავისუფლებისთვის (ადვოკატები, ლობი, მართლმსაჯულების შესაძლო მოსიდევაც) და მეორეც, საქართველოს პროკურატურისგან სუსტი და არადაამაჯერებელი დოკუმენტაციის წარდგენას ექსტრადირებისთვის.

კეზერაშვილმა „გაიპრავა“ გადაადგილების თავისუფლება ვეროპაში, ალბათ – აშშ-შიც. ძალიან მოკლე ჭკუის უნდა იყოს, არამად ნაშოვნი მილიარდები დაკარგოს, თუმცა ამის საშუალებას არც თავისი ბიზნის, ძვირფასი საათების, გარყვნილებისა და კოკაინის მოყვარული მიხეილ სააკაშვილი მისცემს“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ვალერი საბურთაშენი.

ოფშორი რომ სააკაშვილ-კეზერაშვილის მიერ უკანონოდ მოპოვებული ფინანსების თავშესაფარია, ამაზე ექსპერტები ლიად საუბრობენ. ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ კეზერაშვილი თავად არის მოსიარულე ოფშორი, რომელიც თავად არეგულირებს ფინანსური ნაკადების მარშრუტების დაგეგმვას და ადრესატებისთვის მიწვდენას.

„საინტერესოა, რა დაუჯდა კეზერაშვილს საკუთარი თავისუფლება პარიზში და ლონდონში? რა თანხები იყო გადახდილი ამ ქვეყნებში ყველაზე ძვირად ღირებული ადვოკატებისთვის გადახდილი? ვიცით, რომ „რუსთავი-2“-საც კი აფორმებენ ასეთ ზონაში. არ ვამბობ, რომ ეს დანაშაულის შემცველი მოქმედებაა, მაგრამ თუ ადამიანი არაფერს მალავს და მისი მისწრაფება მხოლოდ ის არის, რომ მისი ბიზნის ინტერესები არ იყოს განსაჯაროებული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს პროკურატურას არა აქვს სურვილი, ან შიშო იმისა, გააკვივოს, რატომ აღმოჩნდა დაგვიანებით კეზერაშვილის გვარი ამ ოფშორულ ზონაში.“

რასაკვირველია, ის იმოქმედებდა საკუთარი გვართ, მაგრამ არა საკუთარი სურვილით. როდესაც 2004 წელს მოვიდა იმდროინდელი საფინანსო პოლიციის უფროსის კეზერაშვილის საქმიანობის გამოვლენა, რომელიც არაერთ უკანონო ქმედებას სჩადიებდა, ასეთი რამ შემომითვალა – „ამ ქვეყანაში მხოლოდ სამ ადამიანს ვეჭვემდებარები და ის, რასაც ვაკეთებ, ეს ჩემი ბრალი არ არის“. პირადად შეხვედრა არ მქონია, მაგრამ მისი ნიჭი ვნახეთ 2008 წლის აგვისტოს ომში“, – აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

მისივე თქმით, უმუშევარი კეზერაშვილი ბევრად უფრო კარგი ნიადგი იყო გასაყალბებელი დოკუმენტების შექმნისთვის, ვიდრე იმდროინდელი ფინანსთა მინისტრი ნიკა გილაური, რომელიც ცისკარიშვილის განცხადებით, ცდილობდა სამართლიანი შედეგის დადგომას, მაგრამ გილაურის თანამშრომლები უმუშევარ კეზერაშვილს ექვემდებარებოდნენ და არა საკუთარ მინისტრს.

„ეს არის დედა ენა „ნაციონალური მოძრაობის“ ფინანსური საქმიანობის. რა გასაკვირია, რომ ოფშორული ზონა იყოს ათვისებული იმ ადამიანების მიერ, ვინც მოიპოვებდა ამ თანხებს, ხოლო ამ თანხების მამოძრავებელი იყო და არის კეზერაშვილი. ახლა პროკურატურაზე დამოკიდებული იქნება თუ არა ამ თანხების მამოძრავებელი თავდაცვის ყოფილი მინისტრი“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილი.

თამაზ ძარჩავა

NDI-მ ახლა რომ კვლავ ახვ-ში ჩააბაროს, შეიძლება, იქნას იყოს უკმაყოფილო ხალხი

მანანა კობახიძე NDI-ს კვლევებს არ ენდობა. ამის შესახებ მან განცხადება გადაცემა არჩევანის პირდაპირ ეთერში გააკეთა და თქვა, რომ ეს არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება საპროგრამო დოკუმენტს ქმნიდეს.



„მე არ ვთვლი, რომ NDI-ის კვლევა არის ის დოკუმენტი, რომელზეც ჩვენ უნდა ავეყვით და ეს უნდა იყოს ჩვენი საპროგრამო დოკუმენტი. ეს ასე არ არის. NDI-მ ახლა რომ კვლევა ჩაატაროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იქ შეიძლება ასევე იყოს უკმაყოფილო ხალხის გარკვეული რაოდენობა, რომელსაც ჰგონიათ, რომ არალეგალურად, მიგრანტების, მექსიკელების უფლებები არის დარღვეული. შეიძლება, უკმაყოფილო ხალხი იქ იიზღოს ამ ორგანიზაციამ, საიდანაც არის ეს ინსტიტუტი მოქმედი“, – აცხადებს მანანა კობახიძე.

ილუზიაში ნუ იქნებით, საქონსტიტუციო უპრეკლუსიონას ნაშრომად ვერ აიღებენ

გაერთიანებული დემოკრატიების ლიდერი ნინო ჯანაძე ამბობს, რომ მას კვლევა არ სჭირდება, რადგან ის მოსახლეობას ხვდება და პირადად იცის, რომ მოსახლეობაში მძიმე ფონია. ამის შესახებ ბურჯანაძემ გადაცემა არჩევანის პირდაპირ ეთერში ისაუბრა. ის „ქართული ოცნების“ წევრებს წინასაარჩევნო დიპირებებს ახსენებს და აცხადებს:

„ძალიან ბევრ ადამიანს გაუჭირდა იმ არასწორი პოლიტიკის გამო, რომელსაც ხელისუფლება აწარმოებს. დღეს ოცნება ნამდვილად აუსწრებდა იმ ადამიანებს, ვინც დღეს არიან ხელისუფლებაში. ილუზიებში ნუ იქნებით, საკონსტიტუციო უმრავლესობას ნამდვილად ვერ აიღებენ. ძალიან ბედნიერები უნდა იყვნენ, თუკი უბრალო უმრავლესობას მაინც აიღებენ.“

გაერთიანებული დემოკრატიების ლიდერი არ ენდობა NDI-ის კვლევას. ამიტომ პარტიული რეიტინგებს, რომელიც გამოქვეყნდება, სერიოზულად არ მიიჩნევს.

პრეკლუსიონის მოახლოებასთან ერთად NDI-ს კვლევა ჩაალოვანს კიდე უფრო ახლა

რომორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მჭებელი მედიანიუსთან გუშინ გამოქვეყნებული კვლევის კომენტარებისას განაცხადა, „ქართული ოცნების“ რეიტინგი ნებისმიერი პარტიის რეიტინგს აღემატება.

„მე არ ვიძახი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი შეასრულა, ამის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები იყო, მაგრამ მისი რეიტინგი, რომ მნიშვნელოვნად აღემატება ნებისმიერი პარტიის რეიტინგს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს“, – განაცხადა დეპუტატმა.

მისივე თქმით, ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი კვლევაში ნაციონალური მოძრაობის რეიტინგს ვერ გაზრდის. „იმდენად ზედაპირზეა, რომ ნაციონალური მოძრაობას არანაირი რეიტინგი არ აქვს. თუ გაზრდიან მაშინ პირდაპირ უნდა აჩვენონ, რომ ეს ყველაფერი ყალბია. ისინი ვეღარ გაზრდიან ნაციონალური მოძრაობის რეიტინგს, მაგრამ ამცირებენ იმ ზღვრამდე „ქართული ოცნების“ რეიტინგს, რომ ნაციონალური მოძრაობას გაუტოლდეს“, – აღნიშნა მან.

მოსიარულე ოფშორი,



ანუ რას ეძახიან ახლ საელჩოს კულუარებში კეზერაშვილს?

ცალსახად მცდარია და უნდა ვივარაუდოთ, რომ კონკრეტულ მიზნებს ეხსახურება ამ ტიპის ინფორმაციის გავრცელება“, – აცხადებს შოთა მინდელი.

შვეიცარიული მედიის ინფორმაციით, 2006 წელს, როდესაც დავით კეზერაშვილმა თანამდებობა დაიკავა, ის მხოლოდ ერთ ბინას ფლობდა. 2008 წლის დეკემბერში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ, ის იქსპლუზიული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა და მალევე ოლიგარქი გახდა.

გამოცემა „Tribune de Geneve“-ს ინფორმაციით, კეზერაშვილის გადადგომიდან 10 დღეში ნდობით აღჭურვილმა პირმა მისთვის სამი ოფშორული კომპანია დააფუძნა. აღნიშნული კომპანიების ანგარიშებზე ნავთობის გაყიდვიდან მიღებული დიდი თანხები ირიცხებოდა. „პანამური დოკუმენტებიდან“ კი ირკვევა, რომ 2012 წელს კეზერაშვილის ერთ-ერთმა ოფშორულმა კომპანიამ შვეიცარიულ ბანკში, Banque Cantonale de Geneve-ში (BCGE) გახსნა ანგარიში, სადაც 20 მილიონი ფრანკი გადაირიცხა. ამას გარდა, რამდენიმე შვეიცარიულ ბანკში (ABN AMRO და BNP Paribas) ანალოგიური გზით გადაირიცხა კიდევ 25 მილიონი ფრანკი.

შვეიცარიული გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ 2013 წელს დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ კორუფციის ბრალდებით გამოძიება დაიწყო და ინტერპოლმა მისი დაკავების ორდერი გასცა. გამოძიების დაწყების შემდეგ 2013 წლის მაის-ივნისში კეზერაშვილის ნდობით აღჭურვილმა პირმა პანამურ იურიდიულ კომპანიას „Mossack Fonseca“-ს მხოლოდწვლად დოკუმენტების უკანა თარიღით რეგისტრირება მოსთხოვა. ამის შემდეგ, სასამართლო საქმის წარმოების დაწყებამდე, კეზერაშვილმა მთელი თავისი აქტივები სხვა ოფშორულ კომპანიაში გადაიტანა.

Tribune de Geneve-ის ცნობით, კეზერაშვილის ნდობით აღჭურვილმა პირმა საქართველოს ხელისუფლების წარმო-

დებული ჟურნალისტური გამოძიება, რის საფუძველზეც დავით კეზერაშვილმა ქართული მედიასაშუალებების წინააღმდეგ სარჩელის მომზადება გააძაწყვიტა. „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც დეტალურად ფლობს ინფორმაციას ყოფილი პრემიერის ოფშორულ ანგარიშებზე, დავით კეზერაშვილის ოფშორული ანგარიშების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

გიორგი ვაშაძე კი კეზერაშვილის ადვოკატზე დაყრდნობით ამბობს, რომ კეზერაშვილის კომპანიის დაფუძნებისა და მისი თავდაცვის მინისტრად მუშაობის პერიოდები ერთმანეთისგან შორს არის.

კეზერაშვილი სააკაშვილის ელიგარული კორუფციის სარკისებური ასახვაა. კეზერაშვილის უკან რეალურად მიხეილ სააკაშვილი დგას.

„ვფიქრობ, რომ არანაირი პრობლემა აქ არ არის. პანამა ფეიფერსთან დაკავშირებით, თუ გამოიძიებენ ბიძინა ივანიშვილის და სხვების საქმეებს, კარგი იქნება“, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ამ დრომდე უცნობია რა ზომები მიიღო მთავარმა პროკურატურამ კეზერაშვილის „პანამური დოკუმენტების“ ისტორიასთან დაკავშირებით. ირაკლი შოთაძის უწყება ამ სკანდალს მხოლოდ დუმილით ხვდება.

პროკურატურისგან განსხვავებით, უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ კეზერაშვილი სააკაშვილის ელიტარული კორუფციის სარკისებური ასახვაა.

როგორც საბურთაშენი აცხადებს, ისრაელიდან ცალ-ცალი კალოშით ჩამოსულ კეზერაშვილს, როგორც თავდაცვის მინისტრს, აშშ საელჩოს კულუარებში ყველაზე ახალგაზრდა კორუმპირებულ

გამგზავრება სამხრეთში

სარკოვსამდე ჩინებულად ვიმგზავრეთ, სევასტოპოლში კი უკვე მატარებელში გადავჯექით, მაგრამ სიმფოროპოლიდან გზა ისევ მანქანებით განვაგრძეთ.

იალტაში კრეისერი „მოლოტოვი“ გველოდა, რითაც ამხ. სტალინი სოჭში უნდა ჩასულიყო.

1947 წლის 19 აგვისტოს ადმირალ ი.ს. იუმაშევის ხელმძღვანელობით კრეისერი იალტის პორტიდან გავიდა. კრეისერს ორი ნაღმოსანი აცვლებდა.

კრეისერის ბორტზე იყვნენ აგრეთვე სტალინის მიერ მოპატიუებული ა.ნ. კოსიგინი, ვინც ამ დროს იალტაში ისვენებდა და შავი ზღვის ფლოტის სარდალი, ადმირალი ვ.ს.ოქტიაბრსკი.

ამ მგზავრობამ ჩემზე დაუფიქრებელი ბეჭდილება მოახდინა. დიდებული ამინდი იდგა, ყველას ამალღებული განწყობა გვექონდა. ვაშა! — ისმოდა ირგვლივ და მისალმების ნიშნად ხალხის ამ განუწყვეტელი ვაშას ძახილში სტალინმა კრეისერის მთელ ეკიპაჟს ჩამოუარა. მატროსები აღტაცებული იყვნენ. იაშვეს — ერთად გადაეღოთ სურათი ეკიპაჟის პირად შემაღვენილობასთან, სტალინი დათანხმდა: უნდა ითქვას, ნამდვილი ფოტოკორესპონდენტის როლიც ვიკისრე და საკმაოდ ბევრი სურათიც გადავიღე. სტალინმა ჩემი ყველა ის ფირი ნახა, მაგრამ, მე მაინც ძალიან ველეავდი, ვინაიდან ფირებში მაინცადამაინც დარწმუნებული არ ვიყავი.

სტალინმა რომ დამინახა, რა დღეში ვიყავი, როგორც ყოველთვის ახლაც დიდი გულისხმიერება გამოიჩინა.

როცა გადავღებ დავამთავრე და ნიშნულად რამდენიმე სურათი გადავღებ, სტალინმა დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი მიხმობდა და უთხრა: „ვლასიკი ისე ცდილობდა, ისეთი მონდომებული იყო, მაგრამ თვითონ ის არავინ გადაიღო. აი, გადაიღეთ ახლა ის ჩვენთან ერთად“. იმ თანამშრომელს ფოტოაპარატი გადავუცვი, რაც საჭირო იყო ყველაფერი ავუსხენი და იმანაც რამდენიმე სურათი გადაიღო. ფოტოსურათები შესანიშნავი გამოვიდა, რაც მერე ძალიან ბევრ გაზეთში დაიბეჭდა.

დასვენება სოჭში

სოჭში დასვენებისას სტალინი ქალაქში ხშირად სეირნობდა გზატკეცილზე. ეს სეირნობა მე დიდ ნერვიულობად მიჯღებოდა, ვინაიდან ქუჩებში ყოველთვის უამრავი დამსვენებული იყო, ხალხი ირგვლივ ყოველთვის ჯგუფებად გვეხვია, ყველა ესალმებოდა, ყველას ხელის ჩამორთმევა, ყველას მასთან საუბარი სურდა. ასეთ ვითარებაში ბელადის დაცვა მეტისმეტად ძნელი იყო, მით უმეტეს, სტალინი არ უყვარდა, სეირნობის დროს გვერდით დაცვა რომ მიჰყვებოდა, თუმცა, სეირნობისას ყოველთვის მე, მდივანი პოსკრიბიშვი და დაცვის ორი-სამი ოფიცერი მაინც ვახლდით.

ერთხელ ქალაქში მანქანით სეირნობის დროს სტალინმა პორტში შევლა გადაწყვიტა. ამ პორტში სწორედ თბომავალ „კოროშილივს“ ცლიდნენ. სტალინი დიდხანს უყურებდა თბომავალს და როგორიღაც მოუქნელი ეჩვენა. მანქანასთან რომ დავბრუნდით, იქ უკვე უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ყველას უნდოდა, შეეხებოდა ბელადისთვის, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ სტალინი მართლა სეირნობდა, პორტში ასე ჩვეულებრივ რომ მოვიდა, ყველას მიესალმა, მანქანის კარი გააღო და ის ბავშვები, რომლებმაც ასე გულამოვარდნილებმა მოიბრინეს, მოიპატიჟა, რათა მანქანით მასთან ერთად ესერნათ. უნდოდა ბავშვებისთვის რაღაცით ესიამოვნებინა, რამით გამასპინძლებოდა და წავედით „რივირაში“. კაფე ღია იყო, შევედით კაფეში, სტალინმა ბავშვები მაგიდასთან დასხა, მაგრამ იგივე, მოხდა რაც პორტში — ირგვლივ თავი უამრავმა დამსვენებელმა მოიყარა, რომელთა შორის ბევრი ბავშვიც იყო და იძულებული გაგხდით, ყველას ლიმონით გაემსახობინებოდით. ბუფეტით უშველებელი ლანგრით კანფეტები გამოვიტანეთ. სტალინი ბავშვებს ახლა კანფეტებით გაუმსახობინდა, მაგრამ ერთი პატარა გოგონა, რომელიც, ეტყობა, ძალიან მორცხვი და მორიდებული იყო, ბავშვებმა, ჩანს გვერდზე განიეს და იმის გამო, რომ კანფეტი არ შეხვდა, ატირდა. სტალინმა ატირებული გოგონა ხელში აიყვანა, კანფეტები თავისი ხელით აარჩევინა.

კანფეტების დარიგებას რომ მოვრჩით, ფული რომ გადავიხადეთ, — აბა, ახლა მიესალმეთ სტალინს პორტში უნდად-მეთქი და — ვაშა! — შესძახეს ბავშვებმაც ერთხმად. ამის შემდეგ, როგორც იქნა, მანქანებამდე მივაღწიეთ, ჩავსხედით მანქანებში და წავედით.

რინის ტბა

გაბრასთან ახლოს, ზღვის დონიდან მთაში 950 მეტრის სიმაღლეზე არის მეტად თვანარმტაცი ტბა — რინა, რომელიც ასე გგონია, ქვაბურშია — მის ირგვლივ ცისკენ აზიდული, წინწოვანი ტყით დაფარულ



ი. სტალინის აბარაკი აუხაზეთში

ლი მაღალი მთებია, ნაძვებს შორის უამრავი ფიჭვია, არის ასევე ფოთლოვანი ხეები.

მთები განსაკუთრებულად შემოდგომით არის ლამაზი. მწვანედ მოხასხასე წიწვოვან ხეებს შორის მწვანე მულისფრად გადათეთრებული ნეკერჩხლისა და ფოთლებშეყვითლებული მუხებისგან ტყე წითელყვითლად

ტნეულით ყოფილიყვენ მომარაგებული და დასძინა — „ამას მე თვითონ მივხედავ, პირველ რიგში, საჭიროა ბოსტნეულის ორი-სამი კარგი მეთურნობა და მეფრინველეობისა და მერძეეობის და მფრინველთა ორგანიზება, რათა მოაგარაკები აუცილებელი პროდუქტით იყვენ უზრუნველყოფილები“. მეორე დღეს, როცა ჩვენთან მოლოტოვი, პრონინი და ჯანმრთელობის მინისტრი სმირნოვი მოვიდნენ, ეს საკითხი ისევ თავიდან იქნა განხილული.

სტალინმა მითხრა, შეგერჩია ორი მეთურნობა და ხელმძღვანელობას მოველაპარაკებოდით, რათა მოსახლეობა ბოსტნეულით უზრუნველყო. მე მას ვთხოვე, კიდევ ერთი მეთურნობაც შემერჩია, რომელიც სახელმწიფო აგარაკს მოამარაგებდა, რაზეც ასე მიპასუხა — კარგი, ოღონდ, არა მხოლოდ აგარაკისათვის, არამედ მთელი იქაური მოსახლეობისათვის. მე, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. „კარგი, რახან ჩეკისტებს არ უნდათ, ეს საქმე მოაგარონ, მოვებნით ვინმე კარგ მეთურნეს, ვინც ამ საქმეს ორგანიზებას გაუკეთებს“ — თქვა ბოლოს სტალინმა.

მინდოდა, განსაკუთრებულად აღმენიშნა მისი არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა. არასოდეს, წუთითაც კი არასოდეს გაჩერებულა, არასოდეს ყოფილა უმოქმედოდ. არ ისვენებდა შვებულებაში ყოფნის დროსაც კი.

სან თათბირს იწვევდა რაღაც გადაუდებელ საკითხზე, ხან საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს იღებდა, ხან ყოველდღიური საქმეებით იყო დაკავებული, ხან რაღაც აუცილებელი პრობლემებით, როგორცაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობების ორგანიზება, რაზეც ზევით უკვე მოგახსენეთ.

სადილობის შემდეგ სეირნობისას ბევრი სამეურნეო ხასიათის საკითხი წყდებოდა, ხეების დარგვით დაწყებული, სახლების აშენებითა და გაფორმებით დამთავრებული. უნდა აღინიშნოს, რაიმე საკითხის გადაჭრას ხელს თუ მოჰკიდებდა, იქნებოდა ეს მსოფლიო პრობლემები თუ ყოფილი ამბები, ყველაფერს საქმის დიდი ცოდნით განიხილავდა, რაც მე ყოველთვის ძალიან მაკვირვებდა.

მთავარი მაინც ის არის, რომ უამრავ ურთულეს საკითხს ყოველთვის ძალიან უბრალოდ, უშეცდომოდ გადაჭრიდა.

* * *

შესანიშნავად იქცეოდა იმ საკითხებშიც, რაც ჩვენს — საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროებას შეეხებოდა.

მაგალითად, 1947 წელს სოჭში გამოიძახა სახელმწიფო უშიშროების მინისტრი აბაკუმოვი. მასთან გამართულ თათბირს მეც ვესწრებოდი. შეიძლება ბევრი რამ გესწავლა იმ მითითებებიდან, რასაც ის ჩვენ საქმეზე იძლეოდა. შესანიშნავად იცოდა ბურჟუაზიული ქვეყნების მზვერავების მუშაობა და მათი მუშაობის შესახებ ბევრი საინტერესო მაგალითი მოჰყავდა.

1947 წლის შემოდგომაზე სოჭში სტალინის დავალებით აეროდრომზე დაგვხდა ინგლისელი ლეიბორისტების დელეგაციას, რომელიც პარლამენტის წევრებისგან შედგებოდა. სტალინმა ისინი სოჭში აგარაკზე მიიღო და მეც უფლება მომცა, დავსწრებოდი ამ მიღებას. ეს შეხვედრა ჩემთვის უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა.

ინგლისელებს, როგორც ღრმად პოლიტიკურ, ისე ეკონომიკური ხასიათის შეკითხვებს სტალინი მოკლედ, გასაგებად და ამომწურავად ეპასუხებოდა, მიღება რომ დამთავრდა, დელეგაცია გამოყოფილ აგარაკამდე მივაცილე. მიღებაზე ორი ინგლისელი თარჯიმანიც იყო. ამ შეხვედრის შესახებ ვახშმის შემდეგ მათ თავიანთი შთაბეჭდილებები გამიზიარეს. სტალინის ერთდროითი ისინი გაოცებულები იყვნენ — ეს მართლაც უდიდესი ადამიანი, არა მხოლოდ მშვენივრად ერკვევა ყველა პოლიტიკურ საკითხში, არამედ ინგლისის ეკონომიკაც შესანიშნავად იცის, — ამბობდნენ აღტაცებულები.

გამგზავრება ბორჯომში

ჩვეულებრივ სტალინი სოჭში ან გაგრაში ისვენებდა, მაგრამ 1951 წელს, იმის გამო, რომ მარცხენა ხელი სტკიოდა, სამკურნალოდ და აბაზანების მისაღებად წყალტუბოში წასვლა გადაწყვიტა.

ავისტოში წყალტუბოში რომ ჩავედით, იქ ნამდვილი პაპანაქება დაგვხვდა, ჰაერი საშინლად იყო ჩახუთული, რამდენიმე აბაზანის მიღების შემდეგ, იოსებ ბესარიონის ძემ სიციხეს ველარ გაუძლო, გადაწყვიტა, მკურნალობა აღარ გაეგრძელებინა და დასასვენებლად ბორჯომში წასულიყო, სადაც გაცილებით გრილი იყო.

დამავალა გაგება, რა მდგომარეობაში იყო გზა სურამის უღელტეხილზე, ვინაიდან მანქანებით უნდოდა წასვლა. გარდა ამისა, წესრიგში უნდა მომეყვანა სახლი, სადაც გაჩერებას შევძლებდით. ბორჯომში წინასწარ მძლელი გავაგზავნე, რათა ენახა, გზა რა მდგომარეობაში იყო. გავაგზავნე ასევე თანამშრომლები სახლის სანახავად და წესრიგში მოსაყვანად.

(გაგრძელება იმდგა)

სტალინი. პირადი ცხოვრება



ნიკოლაი ვლასიკის ჩანაწერები

არის გადაჭრელებული. თვითონ ტბა დიდი არ არის, სიგრძით ორკილომეტრ-ნახევარი, ხოლო სიგანით ერთი კილომეტრი. გამდინარე წყალს მწვანე ფერი დაჰკრავს და კალმახით არის სავსე. ხეობაში გზა მიდის, რომელიც ასევე ძალიან ლამაზია. იქაურობა შესანიშნავი იმითაც არის, როცა სანაპიროზე გაგანია სიციხე, აქ ძალიან გრილია. შვებულების დროს სტალინი სიციხისგან ხშირად ძალიან იყო შენუხებული და სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ენახათ ტბის პირას რაიმე პატარა სახლი, რათა ცხელ დღეებში იქ შესძლებოდა მას დასვენება.

სტალინი რინის ტბაზე რომ ისვენებდა, მისი სუფთა, კამკამა, გრილი ჰაერით, მისი თვანარმტაცი სილამაზით ტკებოდა, გადამწყვიტა, ეს ულამაზესი ადგილი ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. პირველ რიგში, რინისკენ მიმავალი საავტომობილო გზა გაკეთდა, რასაც ექსპურსიები მოჰყვა... მალე იქ მისი მითითებით სასტუმრო-რესტორანი აშენდა, გაკეთდა სამწვანე.

მიმავალ წელს სტალინი რინის ტბაზე რომ მივიდა, პირველსავე დღეს იმით დაინტერესდა, რესტორანი როგორ მუშაობდა, მაღალი ხომ არ იყო ფასები, რა ღირდა ერთი ნომერი სასტუმროში და მეორე დღეს უკვე პირადად დაათვალიერა ყველაფერი, დაეღაპრა აკ რესტორნის დირექტორს, ოფიცრებთან ერთად შევიდა რესტორანში, იქაც ყველაფერი დაათვალიერა, ჩათვალა, რომ ნომრების ფასი ძალიან მაღალი იყო, დაურეკა ლიუბიმოვს (მინისტრს) და ბრძანა, დაენიათ ფასები. მაგრამ, დამსვენებლებზე ზრუნვა ამით არ შემოფარგლულა. გზაზე, რომელიც ტბას ირგვლივ დაუყვებოდა, ჩავდგით დიდი ჭიშკარი და ამით სახელმწიფო აგარაკზე შესვლა ცოტა გაეზარტულეთო. მაგრამ სტალინმა მიგვითითა, მოგვეხსნა ჭიშკარი, რათა ექსპურსანტებს დაუბრკოლებლად შესძლებოდათ სახელმწიფო აგარაკის ტერიტორიაზე შემოსვლა და ტბის გარშემო სეირნობა. გარდა ამისა, ყველა ჩვენი კატერი გადაგვეცა საზოგადოებრივი მოხმარებისათვის, ამასთან ერთად გაგვესუფთავებინა ტბა ტოტების ნამტვრევებისაგან, რომელიც საშიშროებას უქმნიდა ტბაში მოცურავეებს.

იოსებ ბესარიონის ძემ გასცა, აგრეთვე, განკარგულება, გამოეყოთ მანქანა სასტუმროსთვის.

სალამოს, ვახშმის წინ სტალინმა ისევ დაიწყო იმაზე ლაპარაკი, რომ სოჭსა და გაგრაში არავინ აქცევდა ყურადღებას, არავინ ზრუნავდა იმაზე, რათა დამსვენებლები საკმარისი რაოდენობის ხილით და ბოს-

„სთესლის მადლსა და სიბრძნესა“ (უფუასეაის ხელ)

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული სახელმწიფოებრივი გარდაქმნები შემზადებული იყო ისტორიის მთელი მსვლელობით და კონკრეტული ვითარებით. ქვეყნის სანარმოო ძალების განვითარება თავისებურ გავლენას ახდენდა საზოგადოების შინაგან ურთიერთობაზე და წინ აყენებდა ახალ სოციალურ ჯგუფებს - საშუალო და წვრილ აზნაურობას, ვაჭრობას და ხელოსნებთან ერთად. დავით აღმაშენებელი თავის მოღვაწეობაში, სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარებისას ძირითადად ეყრდნობოდა საშუალო და წვრილ აზნაურობას, ქალაქის მოსახლეობის ზედაფენებს, და ბუნებრივად, რეფორმებმა სწორედ მათ მოუტანა სარგებლობა (ეს უკანასკნელნიც, რასაკვირველია, ამიტომ უჭერდნენ მხარს სამეფო კარის მიერ გატარებულ ღონისძიებებს). ქვეყნის წინსვლა, მისი საზოგადოებრივი და ეკონომიკური დაწინაურება კარგად გამოისახა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაში, რომელთაც, ფეოდალური ეპოქის კვალობაზე, ამ დროისთვის მაღალ დონეს მიაღწიეს. ქალაქები, წვრილ მემამულე აზნაურობასთან ერთად მეფის ხელისუფლების მთავარ საყრდენს შეადგენდნენ.

დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს დიდგვაროვან ფეოდალთა სეპარატისტული ტენდენციების აღაგმვა და ერისთავობის ინსტიტუტის დამცრობა, სამეფოს კარო-სამოსელეო ვაზირის ინსტიტუტის გაძლიერება, რომელიც დაუპირისპირდა ძველ (პატრონაჟობის ხანის) ინსტიტუტს ერისთავისას. რაც უფრო ძლიერდებოდა ვაზირობა, მით უფრო სუსტდებოდა ერისთავობა. ამ დროის ისტორიული წყაროები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, თუ როგორ უთმობდა თავდაპირველი ფეოდალი მთავარი თავისი კერძო მეურნეობის ადგილს ფეოდალურ მონარქს, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მეთაურს.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსა და მისი ძირითადი საყრდენი საზოგადოებრივი ფენების: ფეოდალების, საშუალო და წვრილი აზნაურების, მოქალაქეთა ზედაფენის ინტერესებს ემსახურებოდა.

სასულიერო დარგში მომხდარი რეფორმა უდიდესი პროგრესული მოვლენა იყო XII საუკუნის ფეოდალური ქვეყნისათვის იმდენად, რამდენადაც წინა პლანზე წამოსწია ადამიანის ღირსებანი, პირადი თავისებები და სწორედ ამ ნიშნით დაიწყო თანამდებობებზე ადამიანების დანიშვნა (ამის, რა საკვირველია, ძირითადი ფაქტორი იყო მეფისადმი ერთგულება), მაგრამ საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენლებს, რაგინდ კარგი თვისებით და ღირსებით არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი აღჭურვილნი, გზა ასეთი თანამდებობისაკენ დასშული ჰქონდათ. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ღონისძიებები სახელმწიფოს ინტერესების დაცვისათვის ტარდებოდა, მისი ცენტრალიზაციის საქმეს, მის გაძლიერებას ემსახურებოდა.

„ცრემლი ქურთვითა და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არა შევიწყალე“ - ეს სიტყვები დავით აღმაშენებელს ეკუთვნის, ავტორს ბრწყინვალე ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებისა „გალობანი სინანულისანი“. „გალობანი“ კარგა ხანია, მოექცა მეცნიერთა კვლევის სფეროში და „ენის სიტურფითა და პოეზიის სიმშვენიერით“ მაღალი შეფასება დაიმსახურა. თანაც აღინიშნა, რომ ამ ნაწარმოებში საქართველოს მეფე, დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონ ბრძენის (ან კიდევ ბერძენი მეფეების) მსგავსად თავის რელიგიურ გრძობებს გამოსატავს.

„გალობანი სინანულისანი“ შუა საუკუნეების ქართული კულტურული-ედიოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამოსატყულება. მასში მთელი სიღრმითა გავრცობილი სასულიერო ღირსებაში საფუძვლიანად დამუშავებული **გაბრძნობა. დასაწმისი 06. № 36, 41, 44, 49, 54, 59**

(ეფრემ ასურის, იოსებ და თეოდორე სტუდიტების, ანდრია კრიტელის, იოანე დამასკელისა და სხვათა საგალობლები) სინანულის მოტივი. საგალობელი ზოგადსაკაცობრიო სევდას შეიცავს. დავით აღმაშენებელი თავს ადარებს უდიდესი ცოდვის ჩამდენთ.

„ბოროტად გარდავხედ საზღუართა და შევბრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძღურესთა მოვსუფქე წანილი მათი და ვიღუწიდე უმეზობლობასა, ვითარცა მარტოვ ვმუკედრობად ქუეყანასა ზედა“. თავის ასეთ დამაბალებში, როგორც მართებულადაა გამოთქმული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ვლინდება ზნესრული ადამიანის მაღალი ეთიკური მრწამსი. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ ქართული ლირიკის ერთ-ერთი შედეგია, რადგან მასში ავტორის ინდივიდუალური განცდა ამაღლებულია ზოგადსაკაცობრიო ტოკილაძედ და მეფის ღაღადი თავის ცოდვილ ბუნებაზე საზოგადოებრივ რეზონანსს იძენს.

ცნობილია დავით აღმაშენებლის ძის - დემეტრე I-ის შესანიშნავი იამბიკოები, რომელთაგან „ღვთისმშობლისა“ („შენ ხარ ვენახი“) პოპულარულია დღესაც.

დავით აღმაშენებელი და დემეტრე I უბრალო მეფურ ვალს კი არ იხდიდნენ ზოგადსაკაცობრიო პრობლემების პოეტურ სახეებში გადმოცემით, არამედ მთელი არსებით იყვნენ მიცემული პოეტურ შემოქმედებას და თავისი ნიჭიერებით მაღალ პროფესიულ დონეს მიაღწიეს.

დავით აღმაშენებელი, მისმა მოღვაწეობამ თანამედროვეთა და შთამომავლობის დიდი ყურადღება მიიქცია. შემორჩა მწერლობისა თუ ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოს ძლევაშემოსილი მეფისადამია მიძღვნილი. ცალკე უნდა გამოიყოს დავით აღმაშენებელი თანამედროვე მწერლობაში.

მოკლედ შევჩერდებით შესხმაზე - „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“, რომელიც დიდი საეკლესიო (რუს-ურბნისის) კრების „ქეგლისწერის“ ყველა ხელნაწერს ახლავს (საგანგებოდ სინგურით



დანერვილი) კანონთა ტექსტების შემდეგ. **„მათა მომართ (ე.ი. „ქეგლისწერის“ გადამწვეტილების შესახებ, - რ. მ.) რასა იტყვ, რასა სიბრძნის ჰმოყვარებ შენ“ - მიმართავს დავით აღმაშენებელს მონაზონი არსენი და ეს მიმართავს გრძელდება შესხმით: „... ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი-ეგე ჰაეროვან ხარ ვითარცა სამყაროვნი იღუღი-სა სოფლისა შორის, საწინო ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის, ტკბილ ვითარცა არე ვამთა შორის, ღმრთის სახე ვითარცა სიყუარული სათნოებათა შორის, გულისათქ-**

მუელ ვითარცა ოქროვ მიწათა შორის, ელვარე ვითარცა იაკინთი ქვათა შორის, მაღალ ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის, შუენიერ ვითარცა ვარდი ყუაგილთა შორის, აღმატებულ ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის, ძლიერ ვითარცა ლომი მსენთა შორის“... (დაიდი სჯულის კანონი, გვ. 557) და ა. შ. საქართველოს მეფე წარმოდგენილია როგორც შეუდარებელი და განუმეორებელი ამაღლებული თვისებებით შემკობილი პიროვნება. იგი არის „ბრძენ ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, მშუდ ვითარცა დავით ცხებულთა შორის ... უზარო ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის... კაცთმოყუარე ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის“.

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი „შესხმა“, როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, იმავე დანიშნულებისაა, როგორისაც მსოფლიო კრებათა მიერ ბიზანტიის იმპერატორებისადმი მიწერილი ეპისტოლეები. ჩვენთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ნაწარმოები იმდენადაა საინტერესო, რამ-



როინ მებრძოლი უპიდ სამეფოდ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

დენადაც გადმოსცემს ეპოქის სულს, განწყობილებას საქართველოს მეფისადმი.

ნიშანდობლივია, რომ ყველა ეს ღირსება-თვისებები, რაც საქართველოს მეფეს გააჩნდა, თავისებურად გარდატეხილი წარმოჩნდა ხალხურ ზეპირსიტყ-

დავით აღმაშენებელი, საქართველოს ყველა დროის უდიდესი მეფე, რომლის დროსაც ქვეყანამ შთამბეჭდავი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლა განიცადა, ხოლო სამეფო ხელისუფლებამ ცენტრალიზაციის მწვერვალს მიაღწია, ხალხურ შემოქმედებაში რამდენადმე მოკრძალებულად მოჩანს. ერთ ხალხურ ლექსში საქართველოს მეფის მთელი მოღვაწეობა ასახულ-წარმოჩენილი:

„- გამბობ სიფრიადესა დავითის, აღმაშენთასა, მტკიცესა მკლავსა, განმგესა, წყობასა სპარაზენთასა. მალღით განცდასა ქვენათა. ალგათა აღნაგვენთასა, და ქველთა საქმეთ ურინცეთა, გლახაკათა მინაფენთასა. გითხრობ წმიდათა ადგილთა, ნიჭთა მათ მოსახსენთასა, ვინა მიიღო საზომი უთვალავთა მათ ძღვენთასა,

სიდათ, გზათა და ზღუდეთა, ხანგათ, კვლავ საყენთასა, და იყო დიდი სიმრავლე - განარკვეთა, თქმულთა ბრძენთასა - მკურნალთ სადოდის სულთასა და სორცთ შექმნილთა სენთასა, მონღედ წყალობის მოძღვართა, ათონით მონაგლენთასა, ათენსა წვრთნიდის ქაბუკთა, იყალთოს მონასტენთასა, და სთესდის მადლს და სიბრძნესა, - სულმნებთა აღმაფრენთასა.“

სრულიად შეგნებულად მოვიყვანეთ ეს ლექსი მთლიანად. მასში დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის თითქმის ყველა მხარეა (აღმაშენებლობითი საქმიანობა, ლაშქრობები, ქველმოქმედება, კულტურული მოღვაწეობა) მოცემული. ხალხმა მართებულად შენიშნა საქართველოს მეფის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები და ლექსში გადმოსცა.

ერთ ხალხურ თქმულებაში, რომელსაც ეწოდება „დარუბანდის კარები“, გადმოცემულია დავითის გალაშქრება ლეკებზე. აღწერილია, რომ დავითმა ხერხს მიმართა. მოაყვანინა ათასი ცხენი, გააკეთებინა ორი ათასი კიდობანი და თითოში თითო შეიარაღებული ქართველი ჩასვა. ცხენების წინამძღოლები გამოაწყო ვაჭრულად და გაისტუმრა დარუბანდში. თვითონ კი უკან გაჰყვა.

როცა დარუბანდს მიუახლოვდნენ, დავითმა გაგზავნა კაცი ლეკთა უფროსთან, საქონელი მომეტეს გასაყიდად და ქალაქის კარი გააღებო. ლეკებმა კარი გააღეს. შუალამისას დავითმა კიდობნები გაახსნევინა და სამი ათასი გულადი მეომარი დარუბანდს შეესია. ლეკთა მთავარს ქალაქის გასაღებები წაართვეს. დავით აღმაშენებელმა რკინის კარი ჩამოახსნევინა, შიგ ლეკები შეუბა და ისე ჩამოატანინა გელათში.

საინტერესო თქმულებაა შემორჩენილი დავით აღმაშენებლის მიერ გელათის აგების თაობაზე. აქ მშენებლობაში თვით მეფის მონაწილეობაა ნაჩვენები: **„გელათის აგებაზე, - გაუწყებს თქმულება, - მეფე დავითს დიდი შრომა გაუწევია. წყალ-ნიეთლადან თავისი ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა და მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის ყურეში დაუტანებია. ერთ მათგანზე დღემდე არის ვითომ დავითის მიერ გაკეთებული მზის საათი. დარუბანდიდან ჩამოუტანია უშველებელი კარი და მონასტრის გაღვინისთვის შეუბამს“ (ხალხური სიბრძნე, III, თბ., 1964, გვ. 156).**

დავით აღმაშენებლის შრომას გელათში ასახავს ე.წ. აგვანდაძეთა სასახლე-სიგელში (1452წ.) დაცული გადმოცემა: „როდეს აღმშენებელი გადმოვარდა, სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა (უშვი) ევლეს, მაშინდა სხუა ერთი აქიმი მოვიდა და ყუულას უკანის ბოლოსა. მან ასრე თქვა: „თუ არა ირმის რძეშიგან დავაწუნებთ არა ეშველებს რაო“. ქნეს მოკითხული, შედონდეს. წამოდგა კაცი, ასრე თქვა: „ავშანდაქნა უთქსო თორმეტი ფური ირმის მენველიო“. სხუა ქუეყანასა ზედან არ იშოებოდა. მოილო ავშანდაქმან. იპრიანა ღმერთმან, დარჩა აღმაშენებელი“ (საქართველოს სიძველენი, II, თ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 43).

დავით აღმაშენებლის ძლევა მოხდა, მისმა გამარჯვებებმა შექმნეს აშკარა წინამძღვრები, შექმნილიყო ლეგენდა „მეფე-მღვდელმთავარ იოანეზე“. ლეგენდა ჯვაროსნული ლაშქრობების დროისაა და ფართოდ იყო გავრცელებული ევროპულ, აგრეთვე აღმოსავლეთის ხალხებში: ჩინელებში, მონღოლებში, თურქებში, სპარსელებში, ინდოელებში, არაბებში, სომხებში. თქმულებამ რუსეთშიც შეაღწია.

ოტო ფრაიზენგელის ქრონიკის მიხედვით 1145 წელზე (ამ წელს ხდება ამბის გადმოცემა) რამდენიმე წლის წინათ მეფე — ხუცესი იოანე, რომელიც სპარსეთსა და სომხეთს იქით ცხოვრობდა, თავს დაესხა სპარსელთა და მიდიელთა მეფე-ძმებს და აიღო მათი სამფლობელოს დედაქალაქი ეკატანია. ეს მეფეები თავიანთი ჯარებით, რომლებიც სპარსელთა, მიდიელთა და ასურელთაგან შედგებოდა, გამოეყენებნენ მის წინააღმდეგ. სამი დღის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა იოანემ. ამის შემდეგ იოანე გაემართა იერუსალიმის ტაძრის გამოსწავლაში ჯვაროსანთა დასახმარებლად, ტეროსს მიაღწია, გადასვლა გემების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა. იგი ჩრდილოეთით აუყვამდინარეს იმ იმედით, რომ გაყინულ ადგილს გადავიდოდა, მაგრამ ასეთი არ აღმოჩნდა და მეფე-ხუცესი იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო.

დღეს ლიტერატურაში სადავო აღარ არის, რომ მეფე იოანე მეფე-ხუცესი და ვით აღმაშენებელია. ამის ნათელი დასტური თვით ლეგენდაში დაცული ცნობებია. აქ კი მოცემულია ის გამოძახილი, რომელიც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას და, კერძოდ, დიდგორის ომში მის გამარჯვებას ჰქონდა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლათინურ ენაზე შედგენილ XII საუკუნის ინგლისურ ქრონიკაში პირდაპირაა მინიშნებული: „მთელს საქრისტიანოში გავრცელდა ხმა, რომ მეფე დავითი, იოანე პრესვიტერად სახელდებულთა, აურაცხელი ჯარით დაიძრა ინდოეთიდან და უკვე დაიპყრო მიდია და სპარსეთი“.

დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გარკვეული ხარკი გადაუხდა ქართულმა მწერლობამ. ასე მაგალითად იოანე შავთელის „აბდულმესიანის“ შესხმის ობიექტი არაერთგან მოიხსენიება „ქრისტეს მხედრად“. არც ის არის შემთხვევითი, რომ შავთელი დავითის მიერ აგებული გელათის მნიშვნელობას უსვამს ხაზს:

„ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაკრძალვინ წმიდათ სხეულთა“.

დავით აღმაშენებლის თემა მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა და არაერთი მწერალი შეეხო მას (საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის შესახებ პოემა შექმნა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა). აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დიდი ისტორიული თემის ჭეშმარიტი ხორცშესხმა ჩვენს დროში მოხდა. დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ დავით აღმაშენებელზე დაწერა ვრცელი (ოთხ წიგნად) რომანი, რომელშიც ისტორიზმის პრინციპისადმი ღრმა ერთგულებით აჩვენა ის დიდი შინაპოლიტიკური დულილი, რომელსაც რუსთაველის ეპოქაში ჰქონდა ადგილი, წარმოაჩინა დავით აღმაშენებლის საქმიანობა ფეოდალური ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის, მისი დიდი ბრძოლები საქართველოს თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის.

თანამედროვე ქართველმა პოეტებმაც (ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე,

მუხრან მაჭავარიანი და სხვ.) არაერთი ლექსი უძღვნეს შორეულ დიდ წინაპარს. არსენ იყალთოელის მიერ დავითისადმი მიძღვნილი ეპიგრამა (იამბიკო) დავითის საფლავის ქვაზე ხუცურად წარწერილი უნახავს მ. საბინინს და დიდი გაჭირვებით ამოუკითხავს:

„ვინ ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს, თევი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს, ანე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს“.

ნიშანდობლივია, რომ არსენ იყალთოელის ეს იამბიკო საბუთად აქვს მოყვანილი „ხელმწიფის კარის გარიგების“ შემდგენელს, თანაც ჩამოთვლილი ჰყავს თორმეტზე მეფე: „ორნი — ოსთა მეფენი და კახთა მეფე და ალვანთა მეფე, წანართა მეფე, სამნი ტაოლთა მეფენი და სომეხი მეფე და ტრაპიზონელი და შარვან-შაჰენი — ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგვეს (დავით აღმაშენებელს — რ.მ.) და თორმეტნი დასხდეს...“ (ხელმწიფის კარის გარიგება, ი. სურგულაძის გამოცემა, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 43).

ამგვარად, დავით აღმაშენებელი ხალხის წარმოდგენაშიც ის პიროვნება იყო, ვინც საქართველო საბოლოოდ გააერთიანა, ქვეყანა გაათავისუფლა დამპყრობლებისაგან, ვინც მებრძოლი ქვეყნები საკუთარ „ჩრდილსა ქუეშე“ შეჰყარა, მისი ღვაწლი სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და კულტურული განვითარების საქმეში ხალხმა ერთ სიტყვაში გამოხატა — აღმაშენებელი უწოდა.

მეტად საგულისხმოა დავით აღმაშენებლის ილია ჭავჭავაძისეული შეფასება. მან 1888 წლის 26 იანვრისათვის (დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღისათვის) გამოაქვეყნა წერილი „დავით აღმაშენებელი“, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ **„უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან — რა, თუ არ ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებლნი“.** დიდი მწერალი მკვეთრად ჩამოყალიბებულ აზრს გვანჯდის საქართველოს მეფეზე: **„ამ ... მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოსრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს...“**

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავის დიდბუნდოვან კაცობითაც. იგი თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. ამისთანა შემწინარებული სხვისა მაშინ, როცა იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თავყანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს უსაქმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“ (ილ. ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, თბ., ტ. IV, გვ. 171). დიდი ილია დავით აღმაშენებლის მაგალითზე ერის ჭეშმარიტი ისტორიის შესწავლა და ფასების აუცილებლობისაკენ მოუწოდებდა ხალხს: **„არის დაცემა და ბათხისრება მაშინ იწყება, როცა ერთი თაჰისა არა იწყება, არამედ ყველა ერთად იწყება. როცა ერთი თაჰისა არა იწყება, არამედ ყველა ერთად იწყება. როცა ერთი თაჰისა არა იწყება, არამედ ყველა ერთად იწყება...“**

დავით აღმაშენებლის ხანა (რუსთველის ეპოქის აპოგეა) საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში შევიდა როგორც დიდი გარდატეხის პერიოდი — პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა.

ანონსი
მომავალ ხუთშაბათს: „დავით აღმაშენებლის შემკვიდრენი“ შემყრელი შვიდთავე სამეფოსა“...

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ეპჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „კოთიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ესმა ქირიკაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ესმა ქირიკაშვილი (პ/ნ 01024065123), თბილისი, საბურთალოს ქ. №31/10.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ოზურგეთი, ი. პეტრიაშვილის ქ. №1, სართული 5, ბინა №19 (საკადასტრო კოდი: 26.26.47.056.01.019).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 8913.42 ლარი;

3. აუქციონის დაწყების დრო: 2016 წლის 22 აპრილი, 12:30 საათი;

4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. მოვალე: იმედი გორგილაძე (პ/ნ 61004026015), ქობულეთი, სოფ. სახალავაში;

ესმა ქირიკაშვილი (პ/ნ 01024065123), თბილისი, საბურთალოს ქ. №31/10.

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ეპჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), ოურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „კოთიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ეპჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „კოთიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 22 აპრილის 12:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ეპჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „კოთიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნუგზარ სიხარულიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნუგზარ სიხარულიძე (პ/ნ 60002005254), ქუთაისი, აბაშიძის ქ. №35; ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №28.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქუთაისი, გრ. აბაშიძის ქ. №35 (საკადასტრო კოდი: 03.06.26.141).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ (ს/ს „კოთიბი ბანკი ჯორჯიას“) გარდამავალი იპოთეკის უფლება ღირებულებით 0 ლარი.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 4565.30 ლარი დღეს ჩათვლით (დღე შეადგენს 696.39 ლარს);

3. აუქციონის დაწყების დრო: 2016 წლის 22 აპრილი, 13:00 საათი;

4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. მოვალე: ნუგზარ სიხარულიძე (პირადი №60002005254), მის: ქუთაისი, აბაშიძის ქ. №35;

ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №28;

გიორგი ტყემელაშვილი (პირადი №01010011307), მის: ვანი, სოფელი ბზვანი;

მარიამ სიხარულიძე (პირადი №60001130037), მის: ქუთაისი, გ. აბაშიძის ქ. №35;

რამაზი ბერაძე (პირადი №60001000352), მის: ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №28,

ბინა 94; ქუთაისი, რუსთაველის ქ. №13.

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ეპჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), ოურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „კოთიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ეპჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „კოთიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 22 აპრილის 13:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

© რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი სინავალს „პოლიტიკური შანტაჟის მსდლოგაში“ ბრალს სდებს

სინავალის ხელისუფლებას განზრახული აქვს, მოახდინოს რეფორმული სამხრეთი ოსეთის რუსეთის ფედერაციაში შესვლასთან დაკავშირებით

„სამხრეთში პოლიტიკური შანტაჟის მცდელობა“ — ასე შეაფასეს თბილისში სამხრეთი ოსეთის სეპარატისტული ლიდერის ლეონიდ თიბილოვის განცხადება იმის შესახებ, რომ უახლოეს თვეებში კონკრეტულად კი აგვისტომდე, გაიმართება რეფერენდუმი ამ უღიარებელი რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციაში შესვლასთან დაკავშირებით.

„ამის უკან დგას მხოლოდ პოლიტიკური ამოცანა —



გარკვეული თვალსაზრისით, განხორციელონ საქართველოს პოლიტიკური შანტაჟი. ამასთან ერთად, ჩვენი ქვეყნისთვის ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან პერიოდში, როდესაც ველოდებით უკვე რეალურ შედეგებს შეთანხმების შესახებ ვეროკავშირთან ასოციაციის შესახებ, ვეროკავშირის ქვეყნებთან ვიზა-ლიბერალიზაციის ჩართვით“, — განუცხადა 12 აპრილს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილმა.

„ჩვენ ვათავისუფლებთ რუსეთს პოლიტიკური რისკებისგან“

აღრმ, 11 აპრილს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში ლეონიდ თიბილოვმა კიდევ ერთხელ განაცხადა იმის შესახებ, რომ ცხინვალს განზრახული აქვს, მოახდინოს რეფერენდუმი, რომელიც საშუალებას მისცემს სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელობას, მიმართოს მოსკოვს თხოვნით რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ. ამჯერად თიბილოვმა დაასახელა მიახლოებითი ვადები — მისი სიტყვებით, რეფერენდუმი შეიძლება გაიმართოს აგვისტომდე.

აღსანიშნავია, რომ ადრე მოსკოვმა ლეონიდ თიბილოვის მსგავს ინიციატივაზე რეაგირება ენთუზიზმის გარეშე მოახდინა, განაცხადა, რომ რუსეთის მაღალი რანგის ჩინოვნიკებთან შეხვედრებზე რეფერენდუმის საკითხი არ განხილულა. მიუხედავად ამისა, რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან 31 მარტის შეხვედრის შემდეგ, ცხინვალის რეგიონის ლიდერმა განაცხადა, რომ სხვა საკითხებთან ერთად, მათ პუტინთან ერთად განიხილეს რეფერენდუმის საკითხიც, რომელიც „მოითხოვს იურიდიულ გააზრებას“.

როგორც მაშინ თიბილოვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ცხინვალს განზრახული აქვს, შეცვალოს სამხრეთი ოსეთის კონსტიტუცია ისე, რომ სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა მიიღოს უფლება მიმართოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს „წინადადებით — შექმნას ერთიანი სამოკავშირეო ორგანო, რომელსაც ჩვენს უფლებმოსილებებს გადავცემთ“.

„ხაზოქმელების ბეკაბაბი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი კორნელი კაკაჩია მიიჩნევს, რომ ცხინვალის რეგიონში თავად რეფერენდუმის მოწყობა უახლოეს მომავალში სავსებით რეალურია, თუმცა, მას ეჭვი ეპარება, რომ ამ ეტაპზე ცხინვალის რეგიონის შეერთება საინტერესო იქნებოდა რუსეთის ინტერესებისათვის. მისი სიტყვებით, აფხაზეთი და სამხრეთი ოსე-

თი არიან „მნიშვნელოვანი ბერკეტები“ მოსკოვის ხელში თბილისთან დაკავშირებით, ვინაიდან, როგორც ექსპერტი ამბობს, რუსეთში ძნელად რომ მზად იყვნენ, დაკარგონ საქართველოზე ზემოქმედების ეს მექანიზმები, მით უმეტეს, რომ მოსკოვს, როგორც კაკაჩია ამტკიცებს, აქვთ ხელში ჩაგდებული საქართველოს ოკუპირებული რეგიონები ასეთი სრული კონტროლით.

უფრო მეტიც, პოლიტოლოგის აზრის თანახმად, ცხინვალის რეგიონის თავად ხელმძღვანელებმა წინილობრივ გადმოიღეს თავისი რიტორიკა საქართველოს ხელისუფლებისგან. კერძოდ, აღნიშნავს კაკაჩია, ქართველი პოლიტიკოსები ხშირად იმეორებენ, რომ საქართველო ყველაფერს აკეთებს, ესე იგი ახორციელებს ყველა შესაბამის სამხედრო და პოლიტიკურ რეფორმებს, რათა მზად იყოს ნატოში დაუყოვნებლივი შესვლისათვის, როგორც კი ამისთვის შეიქმნება გეოპოლიტიკური სიტუაცია. იგივე ფორმულირებები, კაკაჩიას სიტყვებით, გაისმის სეპარატისტების ლიდერების რიტორიკაშიც, როდესაც ისინი საუბრობენ სამხრეთი ოსეთის რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ.

ვფიქრობ, რომ ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხი დადგება მხოლოდ იმის შესაბამისად, რაც საქართველო მიიღებს რეალურ შანსებს ნატოსთან შეერთებისთვის. სწორედ მაშინ ამ არალეგიტიმური რეფერენდუმის საფუძველზე, მოსკოვი შეეცდება, დაამტკიცოს თბილისი ანდა უკვე ფორმალურად განახორციელოს ამ ქართული რეგიონის ანექსია“, — აღნიშნა ექსპერტმა ჩვენთან საუბარში.

ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე მიიჩნევს, რომ სამხრეთი ოსეთის რუსეთთან შეერთების შესახებ რეფერენდუმის თემით მანიპულირება არ შეიძლება შევავსოთ სხვაგვარად, თუ არა, როგორც პოლიტიკური შანტაჟი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მოდის თავად რუსეთიდან.

„სამწუხაროდ, არც თბილისს, არც საერთაშორისო გაერთიანებას არ შეუძლია, გააკეთოს რაიმე ამ პროცესის შესაჩერებლად. რუსეთმა ეტყობა, გადაწყვიტა, არ გაიმეოროს ყირიმის ცენზარი და არ გაგზავნოს სამხრეთ ოსეთში „ზრდილობიანი მწვანე ადამიანები“. საერთაშორისო გაერთიანების თვალში ყველაფერი უნდა გამოიყურებოდეს როგორც ოსი ხალხის „თავისუფალი ნება“, რუსეთის რაიმე გავლენის გარეშე.

რა აზრის არიან თავად რუსეთში?

თავად რუსეთშიც დიდად არ მიესალმებიან ასეთი რეფერენდუმის მოწყობას. პოლიტოლოგი ანდრეი ეპიფანცევი აღნიშნავს:

— მართალი გითხრათ, სინამდვილეში ჩვენს წინაშე არ დგას იმის მწვავე აუცილებლობა, რომ სამხრეთი ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში მივიღოთ. რატომ? ახლავს გეტყვით: თუ ჩვენ ასეთ ნაბიჯს გადავდგამთ, ცხინვალისთვის კარდინალურად არაფერი შეიცვლება, მაგრამ რუსეთისთვის ეს ნამგებია იქნება — ჩვენს ირგვლივ სიტუაცია გაუარესდება. მსოფლიოს ჯერ ის ვერ მოუწელებია, რომ ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში მოექცა და თუ სამხრეთ ოსეთსაც მივიერთებთ, მაშინ ეს საკითხი „ხარის წინ აფრიალებული ნივთი ნაჭრის“ როლს შეასრულებს.

ხოლო თუ სამხრეთი ოსეთი მოანკობს რეფერენდუმს და რუსეთში გაერთიანებას გადაწყვეტს, ჩვენ, უბრალოდ, სამხრეთი ოსეთის მოსახლეობას მაღლობას გადავუხვდით, ვეტყვით, რომ ვაფასებთ და პატივს ვცემთ მათ სურვილს, რომ ერთად ვიცხოვროთ. კი, ჩვენც გვინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არარეალურია. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, სოციალური სფეროს განვითარებას და საერთოდ მომავლისკენ გავიხედოთ, რა უნდა გადავკეთოთ პერსპექტივაში ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

აღსანიშნავია, რომ იგივე თვალსაზრისი — რუსეთის თავის შემადგენლობაში სამხრეთი ოსეთის მიღებით საერთაშორისო იმიჯი გაუარესდება — გამოხატა აგრეთვე მოსკოვის „კარნევი ცენტრის“ ექსპერტმა ალექსეი მალაშენკომაც:

„რუსეთისთვის ისეთი მცირე მასშტაბის ტერიტორიის მიერთებას, როგორც სამხრეთი ოსეთია, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მოსახლეობაც ძალიან მცირერიცხოვანია — სულ რაღაც რამდენიმე ათასი კაცი. აქ უკვე არა იმდენად ეკონომიკური კითხვაა ჩნდება რამდენადაც პოლიტიკური: რას მისცემს ეს რუსეთს? ალბათ, ამით დადასტურდება, რომ რუსეთი აბსოლუტურად დამოუკიდებელ, სხვებისათვის გამაღიზიანებელ პოლიტიკურ კურსს ახორციელებს, იგივე ყირიმის მიერთებით. შესაბამისად, სამხრეთი ოსეთის მიერთებაც დამატებითი კონფრონტაციის ფაქტორი გახდება. ვფიქრობ, დღეს მოსკოვს ასეთი რამ არ უნდა აძლევდეს ხელს.



დედამინის ზურგზე



ისლამური სახელმწიფოს გოპიქაბაა აჩაყის მოსულში „ღვთის კარავი“ გაანადგურა

არქიტექტურის ძეგლი ძველი ააშენეს 2000-ზე მეტი წლის წინათ და იგი არის ერთ-ერთი შესასვლელი ძველ ასირულ ქალაქ მინევიანში. თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ ბოვეიკებმა გაანადგურეს „კარები“ სამრძოლო ტექნიკის დაზარებით, აგრეთვე დაშალეს და გაყიდეს ქალაქის კედლის ნაწილი.

ქორუშიაში მონაწილეობის ეპიქით ესპანეთის ბრძანების მიერ დააქვეს

ეროვნული პოლიციის ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის განყოფილებამ დააკავა 69 წლის სოფელ ტორესა ურტადო პირდაპირ თავის სახლთან. მასზე დაკიდევ რამდენიმე წარმომადგენელზე ქალაქის ხელისუფლებიდან არის ეჭვი — მინის მონაკვეთის გადაცემაში ლამის კლუბის მშენებლობისათვის.

WSJ-მ გაიგო „გეგმა ბ“-ს დანერგვითი ამბავი, რომელიც ამერიკაში სირიაში შეიქმნა ჩაშლის შემთხვევისათვის მიუძღობს

გამოცემის წყაროების სიტყვებით, ეგრეთ წოდებული „გეგმა ბ“-ს მიზანია მეამბოხებისთვის შეიარაღების მიწოდება, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, მიაყენონ დარტყმები სირიის თვითმფრინავებსა და არმიის საარტილერიო პოზიციებს, მაგრამ დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ დაარწმუნა მოკავშირეები იმაში, რომ შეიარაღება გადაეცემა ოპოზიციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება დაირღვევა.

ბრიტანეთის კულტურის მინისტრი აღმოჩნდა სექს-სქანდაკი შექმნის კავშირის გამო

ჯონ უიტინგ დეილმა აღიარა, რომ წარსულში მას ჰქონდა კავშირი ქალთან, რომელიც მძებრი აღმოჩნდა. ცოლს გაშორებულმა მინისტრმა განაცხადა, რომ პარტნიორის საქმიანობის შესახებ გაიგო მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ისტორიის გაყიდვა ტაბლოიდით მოინდომეს. იგი გვარწმუნებს, რომ ამჟამად ეს გავლენას არ ახდენს მის გადამწყვეტილებაზე პოსტთან დაკავშირებით.

რადიო უკრაინის პრეზიდენტის თანამდებობის შემთხვევის შესახებ განაცხადა

ამის შესახებ განაცხადა დეპუტატმა იური ლუცენკომ „გეტრო პოროშენკოს ბლოკის“ ფრაქციიდან. მას არც ერთი სახელი არ დაუსახელებია. წინა დღით რაღაც ვერ შეძლო კენჭისყრა პრეზიდენტ არსენი იაცენიუკის გადადგომისთან დაკავშირებით აზრთა უთანხმოების გამო ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებაც კოალიციასთან დაკავშირებით ჩისში შევიდა.

ამერიკაში გადარჩინეს 72 წლის ქალი, რომელიც ხსრა ღლის განკურნებაში გახდა

ქალი ძალღთან ერთად დაიკარგა არიზონის ტყეებში შვილიშვილებისკენ მიმავალ გზაზე — როგორც გამოიკვია იგი დაიბნა, მანქანაში კი საწვავი დამთავრდა. მის ძიებაში მონაწილეობდა უამრავი ხალხი და შეეღმფრენები. თავად ქალის სიტყვებით, ტყეში მის გადარჩენას ხელი შეუწყო „სიბრძნე და მოგონებება“.



ძაბოშული პოლიტიკა ღრმა კრიზისშია და რაც არ უნდა დაიშვიდოს თავი პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დიდი „დემოკრატიული“ არაფერი გამოვა. ამ ტიტულს „უზომო“ დასავლური „დემოკრატია“ გვანიჭებს, რომელიც არაერთხელ უთქვამს, რომ საქართველო, კავკასიის, ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოა...

ბარაკობა ნათლიებს, მეტადრე მონათლულს, მაგრამ ქვეყანას რა? ამ დანარჩენებთან შედარებით საქართველო რომ დემოკრატიულია, მეტი რა? აი, ევროპის ქვეყნებთან შედარებით რომ ყოფილიყო, მაშინ სხვა იქნებოდა, მაგრამ ევროპელი ნათლიები განა ამდენს გაიმეტებენ ჩვენთვის?

რაში გამოიხატება საქართველოს „დემოკრატიულობა“? – იმაში ხომ არა, რომ ყველა არჩევნები, გარდა 1990 წლისა (საპარლამენტო) გაყალბდა? დემოკრატია, თუ მართლაც პარტიათა სიმრავლეში გამოიხატება, სხვა საქმეა. პატარა ქვეყნისთვის მართლაც უამრავი პარტიის არსებობა (ყველა მათგანს რომ ქვეყნის მართვაზე აქვს პრეტენზია), უფრო ანარქიის მომასწავებელია, ვიდრე წესრიგის და კიდევ იმის, რომ დაუსაქმებელ, უმუშევარ საქართველოს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების გარეშე დარჩენილს, პოლიტიკოსობა აქვს აჩემებული.

ქვეყანა, სადაც ორი „ქარხანა“ მუშაობს – პარლამენტი და სახელმწიფო კანცელარია – არ შეიძლება იყოს დემოკრატიული. ამ „ქარხნების“ მიმართ არის კონცენტრირებული ენ. პოლიტიკოსთა ძალისხმევა. იქ მოხვედრამ მთავარი საკუთარი ოჯახისა და კუჭის გამოსაკვებად.

სამშობლოსთვის განუვლი შრომა, ისტორიული „გადამონაშთი“ პატრიოტიზმი, საქმიანობა თემაა. ჩვენსაირი „დემოკრატია“ ვერც მეზობლები დაიკვირებინან და ვერც სხვა ყოფილი საბჭოელები, მათ შორის რუსეთიც. ერთობ მომრავლებულ ტელეკომპანიებში თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ყველაფერზე, ვეკამათოთ ერთმანეთს, ვაგინოთ და ვლანძლოთ – ენ. ოპოზიციამ ხელისუფლებას და პირიქით. ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში, ტელევიზიებში ხელისუფლებისა და ოპოზიციის აპრობირებულ სახეთა გარდა, სხვა ვერავის ნახავთ. ეს სხვები, რაც არ უნდა დიდი კომპეტენციით იყვნენ ცნობილი, მიუღებელია თვითცნობურით შეპყრობილი მედიისთვის. ესეც ჩვენი „დემოკრატია“.

დასავლეთის კარნახით მივიღოთ კანონები, რომლებიც ქვეყანას არ გამოადგება. ქართულ „დემოკრატია“ „დემოკრატია“ ბელადიც ჰყავდა, რომელიც „დემოკრატის“ ნაკრძალად წოდებულმა აშშ-მა „დემოკრატის შუქურის“ ტიტულითაც შეამკო. მაშინ ვერვინ წარმოიდგენდა, რომ ის მწამებელი დიქტატორი გახდებოდა. არადა, თუ მასწავლებლობა იტვირთვით, ისიც უნდა განჭვრიტო შენი მოსწავლეებიდან ვინ ვინ იქნება. ვერ განჭვრიტა.

დამოუკიდებლობის ჟამს სტარტი ურიგო არ იყო. შედევლობაში მაქვს 1990 წლის უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) არჩევნები. ეს იყო პირველი ელექტორული მრავალპარტიული არჩევნებისა საბჭოთა სივრცეში. გაიმარჯვა „მრგვალი მაგიდის“ კოალიცია. იმ არჩევნებაზე ჰქონდა ბევრი ხარვეზი, მაგრამ შედეგებმა არ არის შემდეგში არჩევნებთან. „მრგვალი მაგიდის“ კოალიციამ წელიწადიც ვერ გაძლო და უზენაეს საბჭოში შესვლიდან, სულ რაღაც 2-3 თვეში რღვევა დაიწყო, რაც საბოლოოდ სამკვედრო-სახიცოცხლო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

იმ „დემოკრატია“ მოჰყვა ქვეყნის ნგრევისთვის დაწესებული ნაბიჯების ნახალისება, რეგიონების ერთმანეთთან დაპირისპირება, ხელისუფლების დამხობა და ანარქია. 1992 წლის არჩევნები ისეთი იყო, გარდამავალი რომ დაშვენდა. იქაც იყო კოალიციები, ერთმანეთის ჭამა და რის ვაივგაგაბით სამწლიანი პერიოდის ჩათვება. ახალი არჩევნები, ახალი კონსტიტუციის პირობებში, 1995 წელს გაიმართა. სახელისუფლებო პარტია „მოქალაქეთა კავშირმა“ სხვა პარტიები შეიამხანაგა და დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც 4-წლიანი საპარლამენტო ვადა ამოწურა.

მხოლოდ 1999 წლის არჩევნებზე მოხდა საპარლამენტო ოპოზიციის გამოკვეთა – მმართველი „მოქალაქეთა კავშირისა“ და პარტია „ალორძინების“ ერთმანეთთან სერიოზულად დაპირისპირება. სახელისუფლებო პარტიის წინააღმდეგ სხვა პარტიებიც გამოდიოდნენ, მაგრამ „ალორძინების“ კოალიცია გაიკვირებოთ ძლიერად გამოიყურებოდა, ვიდრე დანარჩენი პარტიები ერთად აღებული. მხოლოდ „ალორძინებამ“ შეძლო, ისიც მეტ-ნაკლებად, ოთხწლიანი ვადის გავლა. რაც შეეხება მმართველ „მოქალაქეთა კავშირს“ – მარტივ მამრავლებად დაიშალა და 2003 წლის არჩევნებს მოუმზადებლად შეხვდა. შედეგაც არ დააყოვნა – ჩატარებული არჩევნების გაბათილება, არჩეული პარლამენტის დათხოვნა, ახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება.

2004 წლის საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნებმა ქვეყნის განვითარებას ნეგატიური დამლა დაასვა, რაც აშკარა დიქტატორულ მმართველობაში გამოიხატა. ხელისუფლების წინააღმდეგ აპრობირებულმა გულსწარმამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს იძალა და „ქართული ოცნების“ სახით შექმნილ კოალიციას ქვეყნის მმართველობისკენ გზა დაულოცა. კოალიციაში შემაჯავლა სხვადასხვა მრწამსისა და შეხედულების პარტიებმა საერთო ენა ვერ გამოძებნეს და პარლამენტში შესვლიდან ერთი წლის თავზე რღვევა დაიწყო.

მომავალ პარლამენტში ბევრი პარტია შევა, რაც კარგიც არის და ცუდიც. კარგია, დემოკრატის თვალსაზრისით, ვინაიდან მხოლოდ ერთი არ იქნება საკუთარი აზრის ძალისხმევი გამტარებელი. ცუდია, ვინაიდან საკითხის ერთმანეთში შეთანხმება გაჭირდება და საქვეყნო საქმეების ოპერატიული მოგვარება უზომოდ გაინელდება. შემომოყვანილი მაგალითები მკითხველისთვისაც კარგად არის ცნობილი, მაგრამ შესხენება, მითუმეტეს არჩევნების წელს, ურიგო არ იქნება. „დამოუკიდებლად“ არსებობის განვლილმა წლებმა და ე.წ. დემოკრატიულმა განვითარებამ ერთი რამ გვაჩვენა – საპარლამენტო დემოკრატის უაღრესად წინააღმდეგობრივია, ამ საქმეში გამოუცდელი საზოგადოებისთვის უაღრესად ჭირს. მას დრო სჭირდება, თანაც ახალი აზროვნება, დასავლური დემოკრატის არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული გაზიარება.

გადასახედა საპარლამენტო მუშაობის ვადაც, ვინაიდან პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ არჩეული პარლამენტი ნაყოფიერად წელიწადნახევარი-ორი წელი მუშაობს. დანარჩენი ორი, ერთმანეთის ჭამას და ახალი არჩევნებისთვის ქულების დაწერას ეძღვნება. გაცილებით უკეთესი იქნებოდა 2.5-3 წლის ვადით პარლამენტის არჩევა, ვიდრე 4 წლით.

საპარლამენტო ვადის შემცირება საზოგადოებას თავიდან ააცილებდა მიუღებელი პარლამენტარების სისტემატურ ხილვას ტელევიზორებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; დაიცავდა საზოგადოებას მათი მხრიდან ბრიყვული აზროვნების თავსმოხვევისგან. 4-წლიანი უდარდელი, თანაც უპასუხისმგებლო

საპარლამენტო ცხოვრება თვითდარწმუნებას იწვევს პარლამენტარში, ამასთანავე, შეუცვლელი განცდას. რადიო „მეცტროს“ ეთერში შეკითხვაზე – არსებული პარლამენტიდან ვის ხილვას ისურვებდნენ მომავალ პარლამენტში, თითქმის ყველა რესპონდენტმა ერთხმად განაცხადა – არვის. როგორც ჩანს, დეპუტატთა ამჟამინდელი კორპუსიდან ვერც ერთმა ვერ დატოვა საზოგადოებაზე დადებითი შთაბეჭდილება. აი, რაც შეეხება უარყოფითს, უდავოდ 2.5 წელი, 4 წელი შედარებით, დეპუტატთა გადაგვარების და მანქანი თვისებების გამოვლინების ნაკლებ შანსს იძლევა. ცხადია, ყოველ 2.5 წელში არჩევნების ჩატარება მიიქმნება ტვირთი იქნება ქვეყნის ბიუჯეტისთვის, მაგრამ რა გავწყობა, ქვეყნის კეთილდღეობისთვის ასეთი შენაჩირო აუცილებელია.

პარალელურად უნდა გადაიხედოს დეპუტატთა ხელფასებიც. საერთოდ უნდა გამოირიცხოს სახელფასო დანამატები და პრემიები. მსგავსს უნდა ჰქონდეს ადგილი აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. ცხადია, ხელფასი უნდა იყოს ისეთი, რომ პარლამენტარმა „კრიშობის კენ“ არ გაიხედოს. მკაცრი უნდა იყოს საპარლამენტო კანდიდატების შერჩევა დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელიც განათლებასთან, გამოცდილებასთან, პროფესიონალიზმთან, განვლილი ცხოვრების პერიოდიტან ერთად განიხილავს ჯანმრთელობის საკითხსაც.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება პარლამენტის წევრთა ასაკის გაზრდა – 30 წელი და ზევით, ვინაიდან საპარლამენტო ცხოვრება კანონშემოქმედებას უკავშირდება – პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შერწყმა. ქორფა ასაკის პარლამენტარებს, არც თეორიული ცოდნა აქვთ და არც ცხოვრებისეული გამოცდილება.

ან რა პრაქტიკული ცხოვრების გამოცდილება უნდა ჰქონდეს სასწავლებელდამთავრებულ ყმაწვილს? ასეთი, ცხადია, კანონს ვერ დაწერს, უფრო მეტიც პარლამენტის აპარატის მიერ დაწერილსაც ვერ გაიაზრებს. საკუთარი, მდიდარი საპარლამენტო ცხოვრებიდან გამომდინარე ვამბობ ამას და არა ზერეულ დაკვირვების შედეგად.

ქვეყანას ლახვარი ჩაეცა, მაშინ როდესაც „სტრატეგიული პარტიის“ ბრძანებით საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა გამოცდილ კადრებზე და ქვეყნის მართვის დიდი თუ მცირე სადავები თოთო გოგობიჭებს გადასცა, რითაც ქვეყანა საქსპერიმენტო პოლიგონად გადააქცია.



სწორი იყვნენ ამერიკელი კონგრესმენები, რომლებიც საქართველოს, გამსახურდიას მმართველობის დროს სტუმრობდნენ. მათ გვიჩვენებდა ქვეყნის განვითარების ისეთი გზა აგვერწია, როგორც თავის დროზე სინგაპურმა, სამხრეთ კორეამ, ტაივანმა. ამ ქვეყნებმა, „ეკონომიკურ ვეფხვებად“ წოდებულ შემთხვევით, მკაცრი ხელით და კონტროლით ისეთი სახელმწიფოები შექმნეს, რომელთა ბედს ბევრი შენატრის.

ვიდან ააცილებდა მიუღებელი პარლამენტარების სისტემატურ ხილვას ტელევიზორებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; დაიცავდა საზოგადოებას მათი მხრიდან ბრიყვული აზროვნების თავსმოხვევისგან. 4-წლიანი უდარდელი, თანაც უპასუხისმგებლო

საპარლამენტო ცხოვრება თვითდარწმუნებას იწვევს პარლამენტარში, ამასთანავე, შეუცვლელი განცდას. რადიო „მეცტროს“ ეთერში შეკითხვაზე – არსებული პარლამენტიდან ვის ხილვას ისურვებდნენ მომავალ პარლამენტში, თითქმის ყველა რესპონდენტმა ერთხმად განაცხადა – არვის. როგორც ჩანს, დეპუტატთა ამჟამინდელი კორპუსიდან ვერც ერთმა ვერ დატოვა საზოგადოებაზე დადებითი შთაბეჭდილება. აი, რაც შეეხება უარყოფითს, უდავოდ 2.5 წელი, 4 წელი შედარებით, დეპუტატთა გადაგვარების და მანქანი თვისებების გამოვლინების ნაკლებ შანსს იძლევა. ცხადია, ყოველ 2.5 წელში არჩევნების ჩატარება მიიქმნება ტვირთი იქნება ქვეყნის ბიუჯეტისთვის, მაგრამ რა გავწყობა, ქვეყნის კეთილდღეობისთვის ასეთი შენაჩირო აუცილებელია.

პარალელურად უნდა გადაიხედოს დეპუტატთა ხელფასებიც. საერთოდ უნდა გამოირიცხოს სახელფასო დანამატები და პრემიები. მსგავსს უნდა ჰქონდეს ადგილი აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. ცხადია, ხელფასი უნდა იყოს ისეთი, რომ პარლამენტარმა „კრიშობის კენ“ არ გაიხედოს. მკაცრი უნდა იყოს საპარლამენტო კანდიდატების შერჩევა დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელიც განათლებასთან, გამოცდილებასთან, პროფესიონალიზმთან, განვლილი ცხოვრების პერიოდიტან ერთად განიხილავს ჯანმრთელობის საკითხსაც.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება პარლამენტის წევრთა ასაკის გაზრდა – 30 წელი და ზევით, ვინაიდან საპარლამენტო ცხოვრება კანონშემოქმედებას უკავშირდება – პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შერწყმა. ქორფა ასაკის პარლამენტარებს, არც თეორიული ცოდნა აქვთ და არც ცხოვრებისეული გამოცდილება.

ან რა პრაქტიკული ცხოვრების გამოცდილება უნდა ჰქონდეს სასწავლებელდამთავრებულ ყმაწვილს? ასეთი, ცხადია, კანონს ვერ დაწერს, უფრო მეტიც პარლამენტის აპარატის მიერ დაწერილსაც ვერ გაიაზრებს. საკუთარი, მდიდარი საპარლამენტო ცხოვრებიდან გამომდინარე ვამბობ ამას და არა ზერეულ დაკვირვების შედეგად.

ქვეყანას ლახვარი ჩაეცა, მაშინ როდესაც „სტრატეგიული პარტიის“ ბრძანებით საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა გამოცდილ კადრებზე და ქვეყნის მართვის დიდი თუ მცირე სადავები თოთო გოგობიჭებს გადასცა, რითაც ქვეყანა საქსპერიმენტო პოლიგონად გადააქცია.

ყოფილი პარლამენტარი, თუკი მას მუშაობის 25 წლის სტაჟი აქვს, 560 ლარს იღებს თვიურად. ცხადია, ეს, ის თანხა არ არის, რითაც თუნდაც რამდენიმე დღით თავის გატანა შეიძლება – ესოდენ საგრძნობი ინფლაციის, კვების პრობლემებზე, კომუნალურ გადასახადებზე გაძვირებული ფასების პირობებში, მაგრამ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი პენსია.

რა გავწყობა, პარლამენტარის შრომა, გონებრივი დატვირთვა, პასუხისმგებლობა და ა.შ. გაცილებით მაღალია, ვიდრე რეგითი მოქალაქის. მას უნდა ჰქონდეს სტიმული – შესაბამისი სახელფასო ანაზღაურების, საპენსიო ასაკში მეტი პენსიის მიღების. ვერ გავიზიარებ ჟურნალისტ მკა ხარაზიშვილის მოსაზრებას, რომელიც გაზეთ „რეზონანსში“ დაიბეჭდა, ყოფილი პარლამენტარებისთვის პენსიის შემცირების თაობაზე – „ხალხს პარლამენტის ყოფილი დეპუტატების შენახვა წელიწადში 4.5 მილიონ ლარზე მეტი უჯდება“. ყოჩაღ! მაინც, როგორ მიიგნო?! აი, ამას ჰქვია დილეტანტიზმი. მაშ, რა ვქნათ, ქალბატონო მკა, ჩამოვაკლოთ პენსიები? იქნებ პარლამენტშიც გავაუქმოთ, ვინაიდან ხალხს მისი შენახვა ძვირი უჯდება.

ჩამოკლებაზე, დასჯაზე, ჯარიმაზე ორიენტირებული საზოგადოება, მითუმეტეს ახალგაზრდობა ქვეყნისთვის საარგებლოს ვერ შექმნის. არც ერთ ქვეყანაში პარლამენტარის შრომის, მითუმეტეს ყოფილი პარლამენტარის აუფად მოხსენიების მაგალითები ისეთი არ არის, როგორც ჩვენში. ეს, ნაწილობრივ უქნარა პარლამენტარების და მთლიანად საზოგადოების ბრალია. ამომრჩეველი სერიოზულად არ კითხულობს პარლამენტის კანდიდატთა სიას. რომ კითხულობდეს, მხარს არ დაუჭერდა იმ პარტიას, ვინც ბედოვლათი პირი ჩასვა სიაში. სამწუხაროდ, ასეთები თითო-ორი არ არის, მაგრამ საერთო შეფასებისას ღირს მხოლოდ მათზე ყურადღების აქცენტირება? არც ერთ ქვეყანაში ყოფილი პარლამენტარი უმუშევრად არ რჩება, ყველგან ასეთს, ბიზნესსა თუ სახელმწიფო სამსახურში ფართოდ აქვს კარი გახსნილი.

პარლამენტარობა მარტო „სამარიაო“ საქმე არ არის, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. ამ ინსტიტუტის დაკნინებაში ლომის წილი სააკაშვილს მიუძღვის. მან არათუ პარლამენტარში დააგნინა, არამედ ქუთაისში გადატანით ლახვარი ჩასცა მას და ქვეყნის ბიუჯეტს. და თუ რამეა სათქმელი ქვეყნის ბიუჯეტის ეკონომიისთვის, უპირველესად, ის განუზომელი ხარჯებია, პარლამენტის ქუთაისში მუშაობას რომ მოსდევს!

სულ ახლახან კულტურის მინისტრმა „ვარსკვლავთცვენის“ პროექტი გაგვანდო, რომელშიც ბიუჯეტი 29 მილიონ ლარს გაიღებს. რას ემსახურება პროექტი? „ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, მისი ძალიან პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებას მსოფლიო არენაზე, შიდა და გარე ტურისტების ნაკადის ზრდას“.

საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული სულ ეს გვემის – „ქვეყნის ცნობადობის ამაღლება“. ქვეყნის ცნობადობა ხელოვნურად არ მალდება. რაღაც ვერ ვატყობ მოსკოვზე ბიზნესმენს, თურქეთში გაქცულს, ტელმან ისმაილოვს პრესტიჟი გაზრდოდა მონიჭა ბელუშის, ჯენიფერ ლოპესის, სხვა მსოფლიო ვარსკვლავების დაბადების დღეზე მინვეციით. დღეს ის ბანკროტია. ან რუს მილიარდერ გუცერევეს, რომელმაც შვილის ქორწილზე მოსკოვში პატრიცია კაისი, ჯენიფერ ლოპესი, ენრიკე იგლესიასი, სტინგი მიინი-ცია, ხოლო ლონდონში გაგაძელებულ ქორწილში – ელტონ ჯონი.

პროვინციალიზმმა მსგავსი აზროვნება, თან ფულის ხარჯვა. ტურისტების მოსაზრებად ინფრასტრუქტურა და დანერგული ქუჩების ნაცვლად, გამართული ქუჩები და საჭირო, კარგი მომსახურება, ნაკლებპესტიციდიებიანი ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტები. და რაც მთავარია, გამართული, სახელმწიფო პოლიტიკა და დიპლომატია.

რაღაც არ ჩანს EBRD-ის ღონისძიებაში გადაყრილი მილიონების მიერ მოტანილი „საქართველოს ცნობადობის ამაღლება“. აი, ამაზე უნდა გაამახვილოს ჟურნალისტიკამ ყურადღება და არა პარლამენტართა პენსიაზე. გარდა ამისა, ის (ჟურნალისტიკა) უნდა გამოხდეს სახელმწიფო მოხელეთა, პარლამენტართა აღვირახსნილ ცხოვრებას, მრუშობას, უცხოეთში გამუდმებულ, უმიზნო ხეტიალს, რომელიც ქვეყნი უჯდება ხალხს.

სწორი იყვნენ ამერიკელი კონგრესმენები, რომლებიც საქართველოს, გამსახურდიას მმართველობის დროს სტუმრობდნენ. მათ გვიჩვენებდა ქვეყნის განვითარების ისეთი გზა აგვერწია, როგორც თავის დროზე სინგაპურმა, სამხრეთ კორეამ, ტაივანმა. ამ ქვეყნებმა, „ეკონომიკურ ვეფხვებად“ წოდებულ შემთხვევით, მკაცრი ხელით და კონტროლით ისეთი სახელმწიფოები შექმნეს, რომელთა ბედს ბევრი შენატრის.

„დემოკრატია არ აქვთო“, – იტყვიან ჩვენში. არ ჰქონდათ, მაგრამ როდესაც ცხოვრება აანყვეს, ხალხის მატორიალური დონე გაზარდეს და მიბაძვის ობიექტად იქცენ, დემოკრატიაც დაუშვეს, მრავალპარტიული არჩევნების სახით. ამ ქვეყნების ეკონომიკური სიდიდერე, სოციალური ყოფა ისეთ დონეზეა ასული, რომ მის დანგრევას, ვერავინ შეძლებს, მათ შორის ე.წ. დემოკრატიაც.

იყო თუ არა შესაძლებელი მსგავსი პოლიტიკის გატარება საქართველოში? ცხადია, იყო, მაგრამ მაშინ, ისეთი პოლიტიკოსი უნდა გვეყოლოდა, როგორც სინგაპურელი იუ კუან იუ იყო. ბედმა აქაც გვიღალტა და ვართ ასე პირდაპირი იყენი ე.წ. დემოკრატის წინაშე.

პამელიტ ჭიპაშვილი, კომპილერი.

ღურწაია ბრალს

აღიარებს

ბილბ ღურწაია, რომელიც ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებული, წარდგინდა ბრალს აღიარებს. მისი ადვოკატის განცხადებით, ღურწაია გამომიხილებასთან თანამშრომლობს.

დაკავებული

ნარკოტიკების

შეიქმნა-შენახვისათვის

შინაბან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამომიძიებლო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ბექა ლ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩსრეკისას, 0,2699 გრ ბუპრენორფინის შემცველი, ნარკოტიკული საშუალების 34 აბი და 6 შეკვრად დაფასოებული, 3,608გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც 0,9044 გრ ჰეროინს შეიცავს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბექა ლ. დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

18 წლის ახალგაზრდა

თავი ჩამოიხრჩო

თვითმკვლელობა თბილისში, თარხნიშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლში 18 წლის ახალგაზრდა ჩამოხრჩვალნი ნახეს. გადარჩეული ინფორმაციით, გარდაცვლილი ბიზნესმენ დავით სამადაშვილის შვილია. შემთხვევა, გასულ დღეს მარცხ და ახალგაზრდა დაამტოვა მართლ იმყოფებოდა. სიუციდის მიზეზი უცნობია. გამოძიება დაწყებულია 115-ე, თვითმკვლელობამდე მივყვანის მუხლით.

სამარადისო ნათელი

ნუგზარ ბაბუაძის პორტრეტის

ზოგი ადამიანი კომეტას ემსგავსება: დიდხანს ვერ ძლებს, მაგრამ საზოგადოებაში ნათელ, სხივმოსილ კვალს ტოვებს.

სწორედ ასეთ ფიქრს აღგვიძრავს უცნაურად წასული ნუგზარ ბაბუაძის ტკივილიანი მოგონება. იგი მოულოდნელად გამოჩნდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თავანზე და ბევრი სული გაანათა, გაათბო, სამომავლო იმედი ჩაუსახა და წინ ვრცელი სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა.

გამორჩეული და მკაფიო ინდივიდუალური გამოიჩინა მისი აზროვნება, მისი დამოკიდებულება პრობლემატური საკითხების განხილვა-განალიზებისას, სტუდენტებთან, მაგისტრანტებთან თუ დოქტორანტებთან კონსულტაცია-საუბრისას.

მადიებელმა მკვლევარმა და უცხოურ გამოცდილებას ნაზიარებმა ბატონმა ნუგზარმა, შეიმუშავა და შევიცარიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, პირველმა შექმნა საპატენტო სამსახური, რომლის ხელმძღვანელიც იყო.

გამოცდილსა და ლიდერის თვისებებით შემკულს ანინაურებენ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში - საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსად და მინისტრის მოადგილედ. მან სხვა წარმატებულ პროექტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო „აბრეშუმის გზის“ პროექტის განხორციელებაში.

სამინისტროს რეორგანიზაციის შემდგომ ნ. ბაბუაძე გვევლინება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსად, სადაც მან ახლებური სული შთაბერა სამმართველოს საქმიანობას, ის ხომ წარმოშობით ფოთელი იყო. მან როგორც ზღვისპირელმა რაინდმა, დიდი სამსახური გაუწია ფოთში მცხოვრებ გულგატეხილ მეტევეზე მუხლგაურებს, დღენიდაგ ზრუნავდა მათი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ნიუ-იორკის აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რაინდთა დარბაზის „უბადლო რაინდი“. საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის პირმშო ნ. ბაბუაძე თავის მშობლიურ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს უბრუნდება 2003 წელს. იგი დღემდე იღვწოდა სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში პროფესორის რანგში, რომელსაც მოგვიანებით - 2014 წლიდან - სტუს მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობა დააკისრეს.

სწორედ ამ პერიოდში გამოვლინდა ნ. ბაბუაძის ორგანიზატორული ნიჭი. რთული პრობლემის შემსწავლელი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის (მათ შორის ეკონომიკური დიპლომატიის) გამორჩეული მკვლევარი და რამდენიმე სახელმძღვანელო ავტორი თუ თანაავტორი.



ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მისი მისწრაფება ენების შესწავლისადმი და ზოგადად ლინგვისტური მეცნიერებებისადმი. მან ხომ რამდენიმე უცხოური ენა იცოდა და ბოლო წლებში შეისწავლა ჩინური ენა, რომლის მემკვიდრეობით ბევრი ჩინელი მეგობარი გაიჩინა და ჩამოაყალიბა „ჩინეთის მეგობრების საზოგადოება“, რომლის პრეზიდენტიც თვითონ იყო და ჩინეთის საელჩოში ის მიღებული იყო, როგორც ცნობილი „სინოლოგი“.

არც ის არის მისაყურისძირებელი, რომ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციებზე გამოსვლისას მუდამ გამოიჩინა საინტერესო მიდგომებით, ორიგინალობით, შეიძლება ითქვას, ლამაზი საჭადრაკო ეტიუდების მომხიბვლელობითაც.

უალრესად კეთილშობილი პიროვნება გახლდათ. ყველა უყვარდა და ყველას თავისიანად მიაჩნდა. მისმა სიკვდილმა კი მკაფიოდ გამოაჩინა - უფრო ძლიერ გვეყვარება, ვიდრე ვფიქრობდით. გაცხადდა ერთი გერმანელის ნასიბრძინი: „ინც რომ ჩვენ გვიყვარს, რომ არ კვდებოდეს, თვით სიყვარული მოკვდებოდა მაშინ“.

ნ. ბაბუაძე ფრიალდა თავმდაბალი პიროვნება იყო, ამბიციურობასა და ყოყმონობას მოკლებული. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი დიდსულოვნება და მიმტყვევებლობა, გულისხმიერება და მაღლმოსილება. ბრძენ სულხან-საბა ორბელიანს აქვს ასეთი საგულგისხმო განმარტება: „მადლი - ესე არს, რომელიც არცა ნაცვლისსმისათვის, არცა მოყუარებისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის კეთილი და ქველი საქმე ჰყოს!“ დასტურ ასეა.

ბატონი ნუგზარი მოვიდა თავისი სიკეთითა და სათნოებით, ოღონდ არსად არ წასულა - მისი ნათელი სახე და საქმე დარჩა, ჩვენში შეგუბდა, გულს გვიმზიანებს სამოქმედოდ, ახალ-ახალ სიკეთეთა ჩასადენად გვაქეზებს.

ლიზან კლიშიაშვილი, დავით გურგენიძე, იმორ კიხიკიაშვილი, გურამ გვინეტაძე, კარლო ნადირაშვილი, კარლო ღურწაია, გურამ აბაშვილი, რაზო რუხაძე, ანტონ აფთხილაძე, ალექსანდრე სიჭინავაძე, ვახტანგ ბარათაშვილი, მერაბ კილინაშვილი, ივანე ოსაძე, არსენ ბურჯულიანი, ივლიშვილი გვინეტაძე, შოთა ვეშაბიძე, ნათია სირაძე, ასმათ ფიფია.

პროგნოზი

იელოუსტოუნის ფერფლი

ამერიკის შეერთებული შტატების იელოუსტოუნის ეროვნული პარკის რიგითი თანამშრომელი ჰენკ ჰესლერი, რამდენიმე წლის წინ, თავისდა უნებურად, მსოფლიო მასშტაბის საშუალებათა ვარსკვლავად იქცა. საქმე ის არის, რომ უწინასწარ საუბრისას მან დაუფიქრებლად განაცხადა პარკის ტერიტორიაზე არსებული უზარმაზარი ვულკანის აფეთქების საშიშროების შესახებ.

ის ერთხელაც გაიღვიძებს და... დედამინაზე სიცოცხლეც ამით დასრულდება - ესაა მოკლედ იმ აპოკალიფსის არსი, რომლის თაობაზე მეცნიერებმა დიდი ხანია, იცინან: ამერიკული სუპერვულკანის წიაღში მილიარდობით ტონა გაავრვარებული ლავაა, რომლის ამონახვევას გლობალური „ზამთარი“ და ცოცხალ არსებათა აბსოლუტური უმრავლესობის (98 პროცენტის) დაღუპვა მოყვება. ჰ. ჰენკმა მოახლოებული კატასტროფის არაერთი საგანგაშო სიმბოლო ჩამოთვალა - ახალი ჰეიზერების წარმოქმნა, ნიადაგის ამონევა, სეისმური აქტივობის ზრდა. მასმედიაც სენსაციას აყვავდა - უახლოეს მომავალში იელოუსტოუნის კალდერა (ვულკანის ყელი - მ.ტ.) აფეთქდება და ამერიკას დაასამარებს, დედამინის დანარჩენი მოსახლეობაც მალე მიყვება - მას მკვავის წვიმები, მილიარდობით ტონა ფერფლი და უმზებო დახონავს. „ცეცხლზე ნავით“ იმანაც დაასხა, რომ მეცნიერთა უმრავლესობამ იელოუსტოუნის ვულკანის ახლო მომავალში შესაძლო შემდგომ აფორქვევებზე კომენტარის გაცემა არ ისურ-

ვა. არადა ამას სავსებით ლოგიკური ახსნა აქვს: 2009 წელს რამდენიმე იტალიელი გეოფიზიკოსი მსჯავრდებულთა სკამზე აღმოჩნდა და ექვს-ექვსი წელი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა იმის გამო, რომ ქალაქ ლაკუილაში მომხდარ მიწისძვრამდე ზუსტად რამდენიმე საათით ადრე, რო-

გვ. არადა ამას სავსებით ლოგიკური ახსნა აქვს: 2009 წელს რამდენიმე იტალიელი გეოფიზიკოსი მსჯავრდებულთა სკამზე აღმოჩნდა და ექვს-ექვსი წელი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა იმის გამო, რომ ქალაქ ლაკუილაში მომხდარ მიწისძვრამდე ზუსტად რამდენიმე საათით ადრე, რო-



მელსაც 300 კაცი სიცოცხლე შეეწირა, საჯაროდ განაცხადეს, რომ ამის საფრთხე არ არსებობდა. ამ ამბავმა მეცნიერთა შორის დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, ამიტომაც ბოლო წლებში სწავლულები მეტ-ნაკლებად ცალსახა პროგნოზების გაცემაზე ერთ-

დებთან. ამდენად, რეალურად იმის გარკვევა, თუ რას წარმოადგენს იელოუსტოუნის ვულკანი, რა ხდება მის წიაღში და რამდენად დიდია ზეამოფრქვევის

ამოუცნობი საფარო

იელოუსტოუნის ვულკანი 700 კილომეტრის სიღრმიდან ამომავალი დედამინის მანტიის გაფარვარებული სვეტისებრი ნაკადის (პლუმის) თავზე განლაგებული. ზედაპირთან ახლოს ამ სვეტის ნაწილი მაგრად ლღვება, რომელიც 16-18 კილომეტრის სიღრმეზე ერთგვარ საკანს ქმნის. მილიონობით წლის მანძილზე ჩრდილოეთ ამერიკული ფილა ამ სვეტზე ცოცდებოდა, მაგრამ ყოველ ჯერზე პლუმში მასში ახალ-ახალ ვულკანებს გამოწვავდა, რასაც მორიგი ამოფრქვევა მოყვებოდა. მათგან ერთ-ერთი ბოლო დაახლოებით 630 ათასი წლის წინათ მოხდა, დედამინის წიაღიდან დაახლოებით ათასი კუბური კილომეტრი ლავა ამოიფრქვა, ფერფლმა კი თანადად მიარაგები არ გააჩნიათ, დედამინის მოსახლეობა საგრძობად შემცირდა.

ყველაფერი ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი კატაკლიზმი ისევ მოხდება, თუკი მასშტაბისა იქნება, როგორც ბოლო ამოფრქვევების დრო იყო. იელოუსტოუნ 600 ათასი წელიწადში ერთხელ აფეთქდება, და,

რქვევას საშინელი შედეგები მოყვება: ვულკანური ფერფლის უზარმაზარი დრუბული, რომელიც მთელ პლანეტას მოიცავს, მზეს დიდი ხნით დააბნელებს, უზარმაზარ ტერიტორიებზე ტემპერატურა რამდენიმე თვით, ან, შესაძლოა, წლითაც დაიწვეს, დედამინაზე ბირთვულის მსგავსი ვულკანური ზამთარი დადგება. გოგირდოვანი გაზი და ფერფლი მკვავის წვიმებად იქცევა, უდიდესი ზარალი მიადგება სოფლის მეურნეობას, შეწყდება ავიაიმოსვლა. იმის გათვალისწინებით, რომ, რამდენიმე სახელმწიფოს გარდა, ქვეყნებს სურსათის სათანადო მარაგები არ გააჩნიათ, დედამინის მოსახლეობა საგრძობად შემცირდება.

ყველაფერი ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი კატაკლიზმი ისევ მოხდება, თუკი მასშტაბისა იქნება, როგორც ბოლო ამოფრქვევების დრო იყო. იელოუსტოუნ 600 ათასი წელიწადში ერთხელ აფეთქდება, და,

მთიანეთში დასახლებული მოსახლეობის მთლიანად განადგურების საფრთხეა. ამ შემთხვევაში მთლიანად განადგურდება მთელი რეგიონი. ამ შემთხვევაში მთლიანად განადგურდება მთელი რეგიონი.

თვითნებურად, ახალი ამოფრქვევის დრო უკვე დამდგარია. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე არა იმდენად „ზუსტ განრეზება“, რამდენად ობიექტურ მიზეზებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური სამსახურის იელოუსტოუნის ვულკანოლოგიური ობსერვატორიის მეცნიერები სადღეღამისო რეჟიმში თვალს არ აცილებენ პოტენციური აპოკალიფსის „მიზეზს“. დაკვირვება მიმდინარეობს თანამგზავნიდან, სეისმური ტომოგრაფიის, გეოქიმიური და გეოფიზიკური, აუარება სხვა მეთოდით.

სადღეისოდ განატურებული ამოფრქვევის ალბათობას მეცნიერები როგორც უკიდურესად დაბალს აფასებენ - სულ 0,00014 პროცენტით, ამასთან იმასაც აცხადებენ, რომ ასეც რომ მოხდეს, გლობალური კატასტროფას მიიწვევს არ ველოდებით, არც ვულკანური ზამთარი დაგვიდგება. საქმე ის არის, რომ იელოუსტოუნის ვულკანი არ განეკუთვნება ეგრეთ წოდებულ „სტრატოვულკანთა“ რიცხვს, რომლებიც ფერფლსა და გაზს ატმოსფეროს ზედა ფენებში აფრქვევენ, მაშასადამე ის ქვედა ფენებში დარჩება და დედამინის ზედაპირზე ორი-სამი თვის განმავლობაში ჩამოვა, თუმცა, რეგიონის სოფლის მეურნეობას უდიდესი ზიანი მიადგება.

ისიც უნდა ითქვას, რომ დედამინაზე რამდენიმე ვულკანი, რომელიც იელოუსტოუნზე გაცილებით უფრო საშიშია. ესენია, კერძოდ, ეტნა და ვეზუვი. იტალიაში, მერაბი და პაპანდაიანი ინდონეზიაში, კლიშევისკაია სოკუა და კორიაკოვსკი რუსეთში, კოლიმა და პოპოკატეპტლი მექსიკაში, ევაფიალიაიკუდლი ისლანდიაში, პინატუბო ფილიპინებში, სხვები.

მთამადა ოთარ ტურაბაილიძე

